პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 ივლისი, შაბათი, 1969

ფასი 2 კაპ.

გამოდის 51-ე წელი • № 154 (14454)

ლენინის [illegible] 100

# მკა

**საქართველოს სს რესპუბლიკაში 1 ივლისისათვის მომკილი იყო 25.033 ჰექტარი ხორბლისა და ქერის ნათესები**

აგუგუნდა ტრაქტორები კახეთისა და ქვემო ქართლის ყანებში. დაიწყო მკა. ივლისის დამდეგისათვის მომკილია 25.033 ჰექტარი ხორბლისა და ქერის ნათესები. დიდი შრომა გასწიეს მიწათმოქმედებმა, რომ უხვი მოსავალი მოეწიათ. ახლა ცდილობენ, სწრაფად, უდანაკარგოდ აიღონ იგი, სამშობლოს ბეღლებში დააბინაონ რაც შეიძლება მეტი მარცვლეული.

სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს მხვნელ-მთესველებს. სოფლის მშრომელებისადმი პარტიისა და მთავრობის მზრუნველობითაა გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „1969 წელს მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იღებენ ახალ ტექნიკას, განსაზღვრულია შრომის ეკონომიური და მორალური სტიმულირების პროგრესული სისტემა. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ამას უპასუხებენ მინდვრის სამუშაოთა ზუსტი ორგანიზაციით. დამამზადებელ პუნქტებში მიტანილია ხუთწლედის მეოთხე წლის მოსავლის მარცვლეულის პირველი პარტიები.

სწრაფი ტემპით მკიან წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის კომბაინერები. კოლმეურნეობაში ქერის ჰექტარობრივი ნალეწი შეადგენს 35-40 ცენტნერს, ხორბლისა — 23-25 ცენტნერს. ალოობისათვის კარგი მომზადებისა და მკის ორგანიზებული მოწყობის მაგალითს უჩვენებს სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის [illegible] სამგორის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერი ვ. ბექაური მუშაობს ყანებში, სადაც პურეულის მოსავალი ორნახევარჯერ და უფრო მეტად აღემატება დავალებას. სწრაფი ტემპით მკიან პურეულს საგარეჯოს რაიონის ყანდაურის, ხაშმის, პატარძეულის კოლმეურნეობებში, სიღნაღის რაიონის საქობოსა და ტიბაანის კოლმეურნეობებში, გურჯაანის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის, ახმეტისა და სხვა რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

უკვე რამდენიმე წელია უხვ მოსავალს იღებენ სამგორის ჯიშთსანაშენე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში. მექანიზატორები იქ ერთმანეთს ეჯიბრებიან იმისათვის, რომ 10-12 დღეში 1.200 ჰექტარზე მომკან პურეული და სახელმწიფოს მისცენ გეგმაზე 100 ტონით მეტი მარცვლეული. საგულისხმოა, რომ აქაური ნიადაგი ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ უნაყოფო მლაშობს წარმოადგენდა.

მკის საზღვრები ფართოვდება. მალე შეუდგებიან მკას მთელი ქართლისა და მესხეთის რაიონები. რესპუბლიკის ყანებში გაყვანილია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ასობით კომბაინი. მიწათმოქმედებს დიდ დახმარებას უწევენ „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებების მე- [illegible]



[illegible]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

# ორგანიზებულად ავიღოთ მოსავალი და დავამზადოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1969 წელს მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“, იმ მიზნით, რომ მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ, ხარისხიანად ავიღოთ მოსავალი, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ მარცვლის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს, ეთერზეთოვანი კულტურების, ბოსტნეულის, კარტოფილისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების შესყიდვის გეგმები, უზრუნველვყოთ მათი გამოზიდვა, შენახვა და გადამუშავება.

ეს დოკუმენტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებასთან ერთად „1969 წელს მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ განუხრელი ხელმძღვანელობისათვის ეგზავნება საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოებს, „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებებსა და გაერთიანებებს.

პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი საბჭოთა მეურნეობების ტრესტები, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტი „საქკონსერვხილბოსტანი“, ცეკავშირი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელები ვალდებული არიან უშუალო კონტროლს უწევდნენ ნათესებისა და მრავალწლიანი ნარგავების მოვლამოყვანას, სასუქების შეტანას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლას, მორწყვას, აგრეთვე მოსავლის აღებას. ამასთან არ დაუშვან მოსავლის დანაკარგები და მოსავლის აღების ვადების გაჭიანურება; მაქსიმალურად იყენებდნენ არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებსა და მუშახელს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით და მაღალხარისხოვნად დამთავრებისათვის, აგრეთვე დროზე უზრუნველყონ თიბვა, მაღალად ხვნა, საშემოდგომო თესვა, საზოგადოებრივი პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები.

ზემოაღნიშნულ ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს ევალებათ უზრუნველყონ კონსერვის, ღვინის, შაქრისა და თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნების, აგრეთვე ეთერზეთოვანთა საბჭოთა მეურნეობა-ქარხნებისა და მათი მიმღები პუნქტების მზადყოფნა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შეუფერხებლად მიღებისა და გადამუშავებისათვის, საწარმოო სიმძლავრეთა სრული გამოყენება და შრომის ნაყოფიერების გადიდება და სამუშაოთა მექანიზაციის მოცულობის გაზრდა, ნავებობათა, მოწყობილობის, მექანიზმების, მისასვლელი გზების, სალაბორატორიო მოწყობილობისა და ინვენტარის, სასწორის მეურნეობისა და სხვ. ხარისხიანი კაპიტალური და მიმდინარე რემონტი.

საჭიროა მოსავლის მასობრივ აღებამდე ყველა მეურნეობაში შევამოწმოთ, მზად არის თუ არა მოსავლის ასაღები ტექნიკა, ტრანსპორტის საშუალებანი, მარცვლის საწმენდი მანქანები, სათიბი მანქანები, სამკელი მანქანები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ინვენტარი, განვახორციელოთ ოპერატიული ღონისძიებანი, რათა მთელი არსებული ტექნიკა გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ბუნებრივი სათიბების მოსავლის აღებაში, ამასთან უზრუნველვყოთ 1969 წლის მოსავლის აღებისათვის გამოყოფილი მატერიალური რესურსების მომჭირნეობით ხარჯვა.

სამარცვლე კულტურების მოსავლის აღების დასაჩქარებლად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ ნება მიეცათ შექმნილი პირობების მიხედვით გადაგზავნონ კომბაინები ერთი რაიონიდან და მეურნეობიდან მეორეში.

რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარმომარაგების სამმართველომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით უნდა უზრუნველყონ, რომ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, პურის მიმღებ პუნქტებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს დროულად მიაწოდონ მანქანები, მოწყობილობა და მასალები, რომლებიც დამატებით გამოიყოფა რესპუბლიკაში მიმდინარე წლის მოსავლის აღებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს დაევალა დროულად შემოიტანოს და გასცეს ნავთობპროდუქტები, რომლებიც დამატებით არის გამოყოფილი სამინისტროებისა და ორგანიზაციებისათვის მოსავლის ასაღებად; საჭიროების შემთხვევაში 1969 წლის მესამე კვარტალში სოფლის მეურნეობას, მათ შორის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებს მისცეს ავტოსატრაქტორო საწვავი და საპოხი ზეთები იმ ფონდების ანგარიშში, რომლებიც სოფლის მეურნეობისათვის არის გამოყოფილი 1969 წლის მეოთხე კვარტალში რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ განაწილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარმომარაგებამ უზრუნველყოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის, სასოფლო მშენებლობისა და დამამზადებელი ორგანიზაციების საჭიროებისათვის ფოლადისა და აზბესტის, ცემენტის მილების, ფოლადის ჯვარლის, ლითონის ნაკეთობათა, მოწყობილობის, ხელსაწყოების, ელექტრომოწყობილობის, კაბელის პროდუქციის, ელექტროდების, კალციუმის კარბიდის, ქვანახშირის, საშენი მასალების, მუყაოს, ქაღალდის ტომრების, ლაქსაღებავების პროდუქციისა და ქაღალდის მიწოდება I-III კვარტალის ფონდებით 1969 წლის 15 სექტემბრამდე, ხე-ტყის მასალებისა — 25 სექტემბრამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა დროულად უნდა მოამზადონ პურის მიმღები პუნქტები და საწარმოები 1969 წლის მოსავლის მარცვლეულის მისაღებად და დააკომპლექტონ ისინი საჭირო რაოდენობის კვალიფიციური ლაბორანტებით.

სახელმწიფო რესურსების მარცვლეულის განლაგებისა და დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა შეასრულონ 1969 წლის გეგმით გათვალისწინებული ელევატორებისა და მარცვლეულის საცავების ამოქმედების დავალებანი დადგენილ ვადებში. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს ევალება 1969 წელს დამატებით ააშენოს და აამოქმედოს 25 ათასი ტონის ტევადობის მარცვლეულის საწყობები და საწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტები, რისთვისაც 800 ათასი მანეთით გაადიდოს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, აგრეთვე გამოჰყოს საჭირო მასალები, მოწყობილობა და კაბელის ნაწარმი. რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარმომარაგებამ დროულად უნდა შემოიტანონ და მიაწოდონ ეს მასალები, მოწყობილობანი და კაბელის ნაწარმი II და III კვარტალებში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს უფლება ეძლევათ საჭიროების შემთხვევაში მოსავლის ასაღებად გამოიყენონ სატვირთო ავტომობილები, ბორტიანი ავტომისაბმელები, ტრაქტორები და ავტობენზინმზიდები მძღოლთა შემადგენლობითურთ, აგრეთვე ტრაქტორისტ-მემანქანეთა და სხვა მექანიზატორთა და შოფერთა შემადგენლობითურთ სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან, ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ მათთვის დადგენილ საგეგმო დავალებათა შესრულებას.

ტექნიკის გადაზიდვასთან და სამუშაო ადგილას და უკან აღნიშნულ მუშაკთა გადაყვანასთან დაკავშირებული ხარჯები საკუთარი სახსრებით უნდა აანაზღაურონ საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ ტექნიკასა და მუშაკებს გზავნიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

საჭიროა მოეწყოს სატვირთო ავტომობილების სადღეღამისო მუშაობა მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების გადაზიდვის დროს. 1969 წელს, როგორც გამონაკლისი, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩააბან ქალაქების, მუშათა დაბებისა და სოფლის დასახლებული პუნქტების შრომისუნარიანი მოსახლეობა. მეურნეობათა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც 1969 წელს ებმებიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში და პურის მისაღებ პუნქტებში სამუშაოდ, ენახებათ ძირითადი სამუშაო ადგილას საშუალო თვიური გამომუშავების 50 პროცენტი. აღნიშნულ თანხებს თავიანთი სახსრებიდან იხდიან საწარმოები და ორგანიზაციები მუშებისა და მოსამსახურეების ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩაბმულ მუშებსა და მოსამსახურეებს დღიურები და ბინის საფასური არ ეძლევათ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით ნება ეძლევა წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩააბას, როგორც გამონაკლისი, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა უფროსი კურსების (გარდა გამოსაშვები კურსებისა) მოსწავლეები, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა მოსწავლეები უკიდურესი საჭიროებისას სულ ბევრი ერთი თვის ვადით.

1969 წლის მოსავლის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების აღებისა და გამოზიდვის პერიოდში ავტონომიური რესპუბლიკებისათვის, ავტონომიური ოლქებისათვის, რაიონებისა თუ რაიონთა ჯგუფებისათვის წესდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები. ისინი გადაეცემათ ყოველი 10 დღის მუშაობის შედეგებისათვის ავტოკოლონებსა და სხვა სატრანსპორტო ქვეგანაყოფებს, რომლებიც საუკეთესო მაჩვენებლებს მოიპოვებენ მარცვლის, მწვანე ჩაის ფოთლის, ყურძნის, შაქრის ჭარხლის, თესლოვანთა, კურკოვანთა და ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის გამოზიდვაში.

წესდება საპატიო წოდება „1969 წლის მოსავლის სოფლის მეურნეობის პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებული“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სიგელის მინიჭებით.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს და რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ უზრუნველყონ, რომ სამრეწველო საწარმოები შეფობის წესით დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოსავლის აღების კამპანიის მომზადებასა და მოწყობაში.

სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა ვალდებულია გამონაკლისის სახით 1969 წლის 1 ნოემბრამდე აძლიოს ცალკეულ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სანაშენოებსა და ცხენსაშენებს, მეფრინველეობის ფაბრიკებს, საცდელ და სასწავლო მეურნეობებს, პურის მიმღებ საწარმოებს, „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ და სარაიონთაშორისო გაერთიანებებს (განყოფილებებს), მაღაზიებსა და ბაზებს, რომლებიც ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან, მოკლევადიანი კრედიტი სათადარიგო ნაწილების, სარემონტო მასალების, ნავთობპროდუქტების, მანქანა-ტრაქტორთა პარკისა და სატვირთო ავტომობილების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების სამუშაოების, მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ასანაზღაურებლად; აგრეთვე გრძელვადიანი კრედიტი — ცალკეულ კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, რომლებიც გადაყვანილი არიან სრულ სამეურნეო ანგარიშზე, მოსავლის ასაღები ტექნიკის საფასურის გადასახდელად მიუხედავად იმისა, ირიცხება თუ არა მათზე სსრ კავშირის სახბანკის სესხთა ვადაგასული დავალიანება. კრედიტი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოსავლის ასაღები ტექნიკის ასანაზღაურებლად შეიძლება მიეცეთ იმ თანხების ფარგლებში, რომლებიც ამ მიზნისათვის გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახბანკის გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმით.

აღნიშნული მიზნისათვის გაცემულ მოკლევადიან კრედიტს დაფარავენ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები მატერიალურ ფასეულობათა გადასახდელებისათვის დაწესებული, რიგითობის მიხედვით. ხოლო კოლმეურნეობები — მათ ანგარიშზე შემოსული ფულადი სახსრებიდან, პირველ რიგში მას შემდეგ, რაც გაუსწორებენ ანგარიშს კოლმეურნეებს შრომადღეების მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს დაევალა კონტროლი გაუწიოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა 1969 წელს მიიღონ მარცვლეული, ტექნიკური და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი, მოსავალი აიღონ უდანაკარგოდ, საჭირო რაოდენობით დაამზადონ საკვები, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმები. (საქდესი).

# ნაყოფიერი ვიზიტი

**ვენა**, 3 ივლისი. (საქდესი). დღეს მთავრდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **გ. დ. ჯავახიშვილისა** და მისი თანმხლები პირების — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის **გ. შ. მიქელაძის**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სამდივნოს გამგის **გ. დ. ხუნდაძის** და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის **ნ. მ. კაკაბაძის** ვიზიტი ავსტრიის რესპუბლიკაში.

1 ივლისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ეწვია ვენის რატუშას. იქ მას მიესალმა ვენის ვიცე-ბურგომისტრი **ფელიქს სლავიკი**. **გ. დ. ჯავახიშვილმა** ხელი მოაწერა ავსტრიის დედაქალაქის საპატიო სტუმართა წიგნში.

იმავე დღეს მან დაათვალიერა შვეხატის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა.

გუშინ **გ. დ. ჯავახიშვილი** იყო „ოიმის“ ფირმაში, რომელიც უშვებს ელექტროტექნიკასა და ზუსტ ხელსაწყოებს. შემდეგ იყო სადილზე, რომელიც გამართა ავსტრიის საგარეო საქმეთა ფედერალურმა მინისტრმა **კ. ვალდჰაიმმა** პალავიჩინის სასახლეში.

საღამოს **გ. დ. ჯავახიშვილის** პატივსაცემად ვენის ტრადიციულ რესტორანში გაიმართა ვახშამი, რომელზეც იყო ავსტრიის ფედერალური კანცლერი **იოზეფ კლაუსი**.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. დ. ჯავახიშვილის ვიზიტმა პრესის მნიშვნელოვანი ყურადღება მიიპყრო.

**ვენა**, 3 ივლისი. საქდესის კორესპონდენტი **ა. უცბანი** იუწყება: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. დ. ჯავახიშვილი** მეუღლითურთ და მისი თანმხლები პირები — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. შ. მიქელაძე**, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სამდივნოს გამგე **გ. დ. ხუნდაძე** და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ნ. მ. კაკაბაძე** დღეს სამშობლოში გაემგზავრნენ.

გ. დ. ჯავახიშვილი ავსტრიის რესპუბლიკაში იყო ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაურის გ. გლაისნერის მოწვევით. ავსტრიაში ერთი კვირის ყოფნის დროს საბჭოთა საქართველოდან ჩამოსული საპატიო სტუმარი ეწვია ზემო და ქვემო ავსტრიის მხარეებს, აგრეთვე იყო ვენაში.

შვეხატის აეროპორტში **გ. დ. ჯავახიშვილი** გააცილეს ავსტრიის ფედერალური კანცლერის უწყების სამმართველოს უფროსმა **ირემმა**, ფედერალური კანცლერის უწყების განყოფილების გამგემ **ბეროლდინგენმა**, ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილემ **რუდოფსკიმ**, ავსტრიის ფედერალური კანცლერის უწყებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვა პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, აგრეთვე საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებმა, ვენაში საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელებმა და წარმომადგენლებმა, ჟურნალისტებმა.

სამშობლოში გაფრენის წინ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. დ. ჯავახიშვილმა** საქდესის კორესპონდენტს განუცხადა:

ავსტრიას ჩვენ ვტოვებთ დიდი შთაბეჭდილებებით. ვიზიტის დროს ვიყავით სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, დავათვალიერეთ ზემო და ქვემო ავსტრიის, აგრეთვე ვენის ზოგიერთი სამედიცინო და კულტურული დაწესებულება. ჩვენ შევხვდით აგრეთვე ავსტრიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებსა და მშრომელებს. გვინდა აღვნიშნოთ, თუ რა დიდი გულითადობით და ყურადღებით მიგვიღეს ავსტრიის მიწა-წყალზე. ჩვენ ვგრძნობდით, რომ ავსტრიელ ხალხს მშვიდობა სურს.

საქმიანი წრეების წარმომადგენელნი აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა კიდევ უფრო გააფართოონ და გააღრმავონ ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო იმ საწარმოების დათვალიერება, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ სსრ კავშირთან, მაგალითად, ისეთი საწარმოებისა, როგორიც არის ფესტი ლინცში და სხვები.

მინდა დიდი მადლობა ვუძღვნა ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაურს დოქტორ გ. გლაისნერს, რომლის მოწვევითაც განხორციელდა ეს ვიზიტი, აგრეთვე ავსტრიის რესპუბლიკის მთავრობას, რომელმაც ყოველი ღონე იხმარა, რათა ჩვენი აქ ყოფნა სასიამოვნო და სასარგებლო ყოფილიყო.

ჩვენი ვიზიტი იყო ერთ-ერთი ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობს ავსტრიასა და სსრ კავშირს შორის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. ჩვენ, ბუნებრივია, მოველით, რომ ზემო ავსტრიის მთავრობის მეთაური დოქტორი გ. გლაისნერიც გამონახავს დროს, რომ ეწვიოს საბჭოთა საქართველოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. შ. მიქელაძემ** საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

მე, ბუნებრივია, მაინტერესებდა მოწყობილობა, ტექნოლოგია და შრომის ორგანიზაცია ავსტრიის საწარმოებში. მათ კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს. ყოველივე ნანახიდან მინდა გამოვყო ფესტის მეტალურგიული ქარხნები ქალაქ ლინცში. უნდა აღინიშნოს აგრეთვე შრომის მაღალი ორგანიზაცია, კარგი ტექნიკა და ტექნოლოგია სხვა საწარმოებში, სადაც ჩვენ ვიყავით, კერძოდ, ეს ეხება ქაღალდის ფაბრიკა „ნეტინგსდორფს“, და ფირმა „ოიმიგს“, რომელიც უშვებს ელექტროტექნიკურ აპარატურასა და ზუსტ ხელსაწყოებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **ნ. მ. კაკაბაძემ** საქდესის კორესპონდენტს უთხრა:

ჩემთვის, რა თქმა უნდა, საინტერესო იყო იმ ქვეყანაში ჩასვლა, რომლის ლიტერატურას ვასწავლი თბილისის უნივერსიტეტში. ავსტრიაში მე გავეცანი ბევრ საინტერესო ადამიანს, კერძოდ, ავსტრიის სალიტერატურო საზოგადოების ხელმძღვანელს ვ. კრაუსს, რომელსაც მანამდე მხოლოდ მიწერმოწერით ვიცნობდი. ყოველივე ნანახი, ეჭვი არ არის, დამეხმარება სამასწავლებლო საქმიანობაში.

**ვენა**, 4 ივლისი. (საქდესი). 25 ივნისიდან 3 ივლისამდე ზემო ავსტრიის ფედერალური მხარის მთავრობის მეთაურის **გ. გლაისნერის** მოწვევით ავსტრიაში იმყოფებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. დ. ჯავახიშვილი**.

**გ. დ. ჯავახიშვილი** ეწვია ავსტრიის მთელ რიგ ფედერალურ მხარეებს, იყო ქვეყნის სხვადასხვა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. იგი მიიღეს ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა **ი. კლაუსმა** და საგარეო საქმეთა მინისტრმა **კ. ვალდჰაიმმა**, შეხვდა აგრეთვე ზემო ავსტრიის ფედერალური მხარის მთავრობის მეთაურს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. დ. ჯავახიშვილი** დაბრუნდა სამშობლოში.

# ბელორუსია ადიდებს გმირებს

მინსკი, 3 ივლისი. (საქდესი). რესპუბლიკის მშრომელები საზეიმოდ აღნიშნავენ ჰიტლერული მონობისაგან ბელორუსიის განთავისუფლების 25 წლისთავს. აქ ჩამოვიდა ბევრი იმათგანი, ვინც მონაწილეობდა წმიდათაწმიდა მიწა-წყლისათვის ბრძოლებში. შუადღისას მინსკში ძეგლებთან და ობელისკებთან საპატიო ყარაულში დადგნენ პიონერები, საბჭოთა არმიის მეომრები. სამუშაო დღის ბოლოს ათასობით მინსკელი შეიკრიბა ვ. ი. ლენინის ძეგლთან. აქ მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. ო. პრიტიცკი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ი. კისელიოვი, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, მინსკის განთავისუფლების 25 წლისთავის დღესასწაულში მონაწილე დელეგაციების წევრები. ძეგლის კვარცხლბეკი შეამკეს გვირგვინებითა და ყვავილებით.

შემდეგ ომის ვეტერანები, რესპუბლიკის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გაემართნენ სადღესასწაულოდ მორთული ლენინის პროსპექტით გამარჯვების მოედნისაკენ, სადაც მარადიულ ცეცხლთან აღმართულია საბჭოთა არმიის იმ მეომრებისა და პარტიზანების ძეგლი, რომლებიც დიდი სამამულო ომის წლებში დაიღუპნენ. ობელისკს ამკობენ გვირგვინებით. დამსწრეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულ გმირთა ხსოვნას. ქალაქში ჟღერს მოცარტის „რეკვიემი“.

# ყუბანში დაიწყო მკა

**კრასნოდარი**, (საქდესის კორ. ვ. კალიშევსკი). 1 ივლისს ყუბანში დაიწყო მთავარი მარცვლეული კულტურის — სახელგანთქმული საშემოდგომო ხორბლის „უფხო-1“-ის მკა. სამკელი მანქანები და კომბაინები გაიყვანეს მინდვრებში ტიმაშევსკის, პავლოვსკის, კორენოვისა და სხვა დიდი სამარცვლე რაიონების მეურნეობებმა. ყუბანის მხარის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილში საშემოდგომო ნაწილი მომკეს და გალეწეს პირველ ათასობით ჰექტარზე.

თითქმის ერთ მილიონ ჰექტარზე უნდა აიღონ ხორბლის მოსავალი ყუბანელმა მექანიზატორებმა. „უფხო-1“-ს, რომელმაც გადაიტანა ყინვა, მტვრის ქარბუქი და გრიგალები, დროზე მიაწოდეს დამატებით მინერალური სასუქები, საგულდაგულოდ დაამუშავეს ყანები. მექანიზატორებმა დაიწყეს მკა და ცდილობენ სწრაფად და უდანაკარგოდ აიღონ მთელი მოსავალი და მოამზადონ ყანები საშემოდგომო თესვისათვის.

### კოლუმბიის კონგრესის დელეგაციის ჩამოსვლა

**მოსკოვში** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით 4 ივლისს ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა კოლუმბიის რესპუბლიკის კონგრესის დელეგაცია სენატის თავმჯდომარის მარიო ს. ვივასის მეთაურობით. (საქდესი).

# საქართველო - გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა: მტკიცდება კონტაქტები

**თბილისში** ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის პალატის საპატიო პრეზიდენტი **ჰანს ბარი**, რომელიც 4 ივლისს ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს **გ. ი. ჩოგოვაძეს**.

გ. ი. ჩოგოვაძესა და ჰ. ბარს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

**ჰ. ბარმა** თქვა, რომ მისი ჩამოსვლის მიზანია დაამყაროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის პალატის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს სავაჭრო პალატასთან, გაეცნოს ორ რესპუბლიკას შორის საექსპორტო და საიმპორტო საქონლის მიწოდების შემდგომი გაფართოების შესაძლებლობებს.

**გ. ი. ჩოგოვაძემ** ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან და უწინარეს ყოვლისა სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებას. მან რწმენა გამოთქვა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის პალატის საპატიო თავმჯდომარის ყოფნა საქართველოში ხელს შეუწყობს საქართველოს სსრ და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საგარეო-სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებას, ურთიერთვაჭრობის განვითარებას.

ამხ. ჩოგოვაძემ სტუმარს უამბო რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შესახებ.

საუბარში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **რ. ს. ელიგულაშვილმა**. მათთან ერთად საუბარს დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის პალატის ეკონომისტი **ვოლფგანგ შულცი**, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სავაჭრო პალატების პასუხისმგებელი თანამშრომლები **კ. ა. ვახილიევი** და **ი. ბ. გოკიელი**. (საქდესი)

# მოსკოვში ჩამოვიდა სირიის არაბთა რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია

3 ივლისს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სირიის არაბთა რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაური და პრემიერ-მინისტრი ნურედინ ატასი. დელეგაცია მოიწვიეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ.

ვნუკოვოს აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, ბ. ნ. პონომარიოვი და სხვები.

საპატიო ყარაულის უფროსი უპატაკებს ნურედინ ატასის. გაისმის სირიის არაბთა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ქუხს საარტილერიო სალუტის 21 ზალპი.

ნურედინ ატასი საბჭოთა ხელმძღვანელებთან ერთად მიემართება მშრომელთა წარმომადგენლებისაკენ. გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრობის სადიდებლად, „ვაშას“ შეძახილები.

საზეიმო მარშით ჩაიარა საპატიო ყარაულმა.

სტუმრები მიდიან გასასვლელისაკენ. პირველ მანქანაში სხდებიან ნურედინ ატასი, ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით მეთაური მანქანა და სხვა ავტომობილები ქალაქისაკენ მიემართებიან.

დელეგაციის რეზიდენციისაკენ მიმავალი მოსკოვის ქუჩები მორთული იყო სირიის არაბთა რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით. ალისფერ ტრანსპარანტებზე არაბულად და რუსულად წერია: „სალამი სირიის არაბთა რესპუბლიკის მეგობარი ხალხის წარმომადგენლებს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობას!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, საპატიო სირიელო სტუმრებო!“.

(საქდესი).

# კოოპერაციის საერთაშორისო დღე

**კოოპერაციის** საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ცეკავშირის აქტივის კრება, რომელიც 4 ივლისს გაიმართა თბილისში.

მოხსენება კოოპერაციის საერთაშორისო დღის 47-ე წლისთავის შესახებ გააკეთა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. შიხაშვილმა.

ცეკავშირის მუშაკთა აქტივის კრებას დაესწრო ჩეხოსლოვაკიის კოოპერატორთა კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდნენ ჩეხოსლოვაკიის საბინაო კოოპერატორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე მილოშ კაბატი და სლოვაკიის საბინაო კოოპერატორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე რუდოლფ ჯოლეცი. (საქდესი).

# ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

[illegible]

უნდა გაიგზავნოს იძულებით სამკურნალოდ „ნარკომანების და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად.

2. ნარკოტიკული ნივთიერების ხმარება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც გამოყენებული იყო ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

3. მასალები იმ პირის შესახებ, რომელსაც არ შესრულებია თექვსმეტი წელი და ხმარობს ნარკოტიკულ ნივთიერებას, გადაეცემა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას ამ პირის მკურნალობისათვის სათანადო ზომების მისაღებად, მისი ქცევისადმი კონტროლის დასაწესებლად და მშობლების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხის განსახილველად.

[illegible] კვეთის ადგილიდან განთავისუფლების შემდეგ კი მკურნალობა, თუ ეს საჭიროა, გაგრძელდება სპეციალურ სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში.

ალკოჰოლიკის ან ნარკომანის იძულებითი მკურნალობა შეწყდება სასამართლოს დადგენილებით, იმ დაწესებულების წარდგინების საფუძველზე, სადაც პირი იმყოფება სამკურნალოდ".

„მუხლი 230. ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის ან გარყვნილების ბუდის მოწყობა და მაჭანკლობა

ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის, აგრეთვე გარყვნილების ბუდის მოწყობა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონფისკაციით.

ქალების მიზიდვა გარყვნილებისათვის, აგრეთვე მაჭანკლობა ანგარების მიზნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, გადასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ".

„მუხლი 252. ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა დამზადება ან გასაღება

ნარკოტიკულ ნივთიერებათა საგანგებო ნებართვის გარეშე დამზადება, შეძენა, შენახვა, ან გასაღება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონფისკაციით.

ძლიერმოქმედ და შხამიან არანარკოტიკულ ნივთიერებათა საგანგებო ნებართვის გარეშე დამზადება, შეძენა, შენახვა, ან გასაღება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა კონფისკაციით.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან გასაღება, ჩადენილი დიდი ოდენობით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელმაც სასჯელი მოიხადა ასეთივე დანაშაულისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა წარმოების, შენახვის, გაცემის, აღრიცხვის, გადაზიდვისა ან გადაგზავნის დადგენილი წესების დარღვევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე".

„მუხლი 253. ხაშხაშის ან ინდური, სამხრეთ მანჯურიის და სამხრეთ ჩუიის კანაფის დათესვა

ხაშხაშის ან ინდური, სამხრეთ მანჯურიის და სამხრეთ ჩუიის კანაფის დათესვა სათანადო ნებართვის გარეშე, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ნათესების კონფისკაციით".

დაემატოს კოდექსს 252(1), 252(2), 252(3) და 252(4) მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 252(1) ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცება

ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცება, თუ ეს ქმედობა თავისი ხასიათით არ იწვევს უფრო მძიმე სასჯელს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით ან დიდი ოდენობით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

მუხლი 252(2). ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება

ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, ჩადენილი მას შემდეგ, რაც ასეთივე ქმედობისათვის დამნაშავის მიმართ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

მუხლი 252(3). ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიება

ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე სრულწლოვანი პირის დაყოლიება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 252(4). იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება

სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში ნარკომანისა და ალკოჰოლიკის მიერ იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება, ან რეჟიმის სხვა ბოროტი დარღვევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე".

კოდექსის 39-ე მუხლის მე-12 პუნქტს სიტყვების: „მთვრალი იყო" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „ან იმყოფებოდა ნარკოტიკულ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ".

კოდექსის 25-ე, 44-ე და 54-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „(252-ე მუხლის პირველი ნაწილი)" და მათ ნაცვლად ჩაიწეროს სიტყვები: „(252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილი), ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცებისათვის (252(1) მუხლი)". ამავე მუხლებს სიტყვების: „(228 მუხლის მეორე და მესამე ნაწილი)" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის ან გარყვნილების ბუდის მოწყობისათვის (230-ე მუხლის პირველი ნაწილი)".

5. შეტანილ იქნეს ცვლილება და დამატება „ნარკომანების და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოჰოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების მე-3 მუხლში:

სიტყვის „არასრულწლოვანებს" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „რომლებსაც თექვსმეტი წელი არ შესრულებიათ".

ამავე ბრძანებულების მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი: „სამკურნალო-შრომით დაწესებულებაში ნარკომანის ან ალკოჰოლიკის მიერ იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება ან რეჟიმის სხვა ბოროტი დარღვევა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვიდან ერთ წლამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1969 წლის 30 ივნისი.

# ნარკომანიასთან ბრძოლა მთელი საზოგადოების საქმეა

დღეს ქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა და ამ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ". როგორც ბრძანებულების შესავლიდან ჩანს, ნარკომანიასთან ბრძოლის გაძლიერებას მოითხოვენ მშრომელთა კოლექტივები, მთელი საზოგადოებრიობა.

ნარკომანიამ დიდი ხანია მოიცვა კაპიტალისტური სამყარო. ბევრი ქვეყნისათვის იგი ნამდვილ ეროვნულ უბედურებად იქცა. სამწუხაროდ ჩვენშიც აქა-იქ ბურჟუაზიულ მოდას აყოლილი თითო-ოროლა ახალგაზრდა, რომელსაც დაუკარგავს ადამიანური სახე, გადაგვარების გზას დასდგომია, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისა და სწავლის ნაცვლად უსაქმურობს, ნარკომანიას მისდევს და ამით დიდ ზიანს აყენებს როგორც საკუთარ თავს, ოჯახს, ისე მთელი საზოგადოებრიობის, ხალხის ინტერესებს.

ყველასათვის ნათელია, რომ ნარკომანია არ არის დამახასიათებელი საბჭოთა ყოფისათვის, იგი ჩვენი საზოგადოების ჯანსაღ სხეულში შემოჭრილი უცხო ბაქტერიაა. მაგრამ ეს ბაქტერია, რაოდენ მცირეც უნდა იყოს იგი, მეტად საშიშია. იგი, როგორც ყველა სხვა სენი, უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდობას ეტანება, რომელიც შედარებით დამყოლი და ცხოვრებაში გამოუცდელია. ამიტომ ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ — ეს არის ბრძოლა ჩვენი ჯანსაღი მომავლისათვის.

თითოეულმა უნდა იცოდეს, რომ ნარკოტიკული ნივთიერებანი ძლიერ ვერაგი და საშიში მტერია ადამიანისათვის, რომელიც მას ეტანება, ხოლო თუ უბედურება მოხდა და გამაბრუებელი წამლებისადმი ავადმყოფურმა მიდრეკილებამ ადამიანი ამოაგდო ცხოვრების ნორმალური კალაპოტიდან, ერთადერთი გამოსავალია დაუყოვნებლივ მკურნალობა, რაც არ შეიძლება გადაიდოს თუნდაც ერთი დღით.

ნარკოტიკული ნივთიერებანი (მორფიუმი, კეროინუმი, კოკაინი, ჰაშიში და სხვ.) გამანადგურებლად მოქმედებს ადამიანის მთელ ორგანიზმზე, განსაკუთრებით კი ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და საბოლოოდ იწვევს მძიმე ფიზიკურ და სულიერ დაავადებას. ამ ნივთიერებათა მიღების შედეგად პიროვნება გონებრივ დაქვეითებას განიცდის, იგი სოციალურად და ზნეობრივად კნინდება, ყველაფრისა და ყოველივესადმი გულგრილი ხდება და ცოცხალ ლეშს ემსგავსება. იგი ცდილობს სხვების ჩათრევას ამ საშინელ საქმეში და ნარკოტიკული შხამების მოსაპოვებლად არ ერიდება არავითარ სისაძაგლეს. „ნარკოტიკული შიმშილის" დაკმაყოფილება კი მოითხოვს, რომ დოზა სისტემატურად იზრდებოდეს. ნარკომანის შრომის უნარის მკვეთრი შემცირების ან სრულიად დაკარგვის გამო მისი შრომითი და სხვა კანონიერი შემოსავალი სწრაფად მცირდება ან სრულიად ისპობა. ამის შედეგად ნარკომანი იძულებულია [illegible]ბოს არაკანონიერი შემოსავალი და [illegible] დანაშაულებრივ გზას ადგება.

ყოველი პატიოსანი მოქალაქე, პატრიოტი თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხისა არ შეიძლება არ იყოს შეწუხებული ნარკომანიის ფაქტებით, არ შეიძლება არ იყოს აღშფოთებული მათ მიმართ, ვინც ნარკოტიკულ შხამებს ეტანება, ვინც ამ საშინელ უბედურებაში ითრევს ჯანსაღ ადამიანებს, აგრეთვე იმათ მიმართ ვინც პირადი გამორჩენის მიზნით ხელს უწყობს მის გავრცელებას.

ასეთ გადაგვარებულ პირებს ვერ მოითმენენ საბჭოთა ადამიანები, ვერ შეურიგდება ჩვენი საზოგადოება. განა მოსათმენია, რომ ერთეულები გახრწნითა და დაღუპვით ემუქრებოდნენ ჩვენს ჭაბუკებს და ქალიშვილებს, ჩვენი დღევანდელი დღის სიხარულსა და იმედს?!

ნარკომანებისა და ნარკომანიის გამავრცელებლების მიმართ ჩვენი საზოგადოება ეფექტურ ღონისძიებებს სახავს. ამ ღონისძიებათა შორის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ახალ ბრძანებულებას.

როგორც წესი, ნარკოტიკული მოქმედების მქონე ყოველგვარი წამალი უნდა ვიხმაროთ მხოლოდ და მხოლოდ სამკურნალო მიზნით, ექიმის კონტროლით და მხოლოდ მკურნალობისათვის საჭირო დროის განმავლობაში.

ბრძანებულება ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის აწესებს ადმინისტრაციულ სასჯელს (10-დან 15 დღემდე პატიმრობა), ხოლო განმეორების შემთხვევაში პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით — თავისუფლების აღკვეთას ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

ბრძანებულება პასუხისმგებლობას აკისრებს მშობლებს მათი არასრულწლოვანი შვილების საქციელის გამო. ბრძანებულების თანახმად არასრულწლოვანი ნარკომანების საქმეს განიხილავს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისია, რომელიც მიიღებს ზომებს ნარკომანების სამკურნალოდ, დაუწესებს მათ კონტროლს, განიხილავს მათი მშობლების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხს.

ბრძანებულებამ საგანგებოდ გაითვალისწინა, რომ პასუხისმგებლობა ეკისრება იმასაც, ვინც სრულწლოვანი პირი დაიყოლია ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაში, წინათ მოქმედი კანონმდებლობა კი პასუხისმგებლობას აწესებდა მხოლოდ არასრულწლოვანთა დაყოლიებისათვის.

საბჭოთა სამედიცინო მეცნიერებას მოეპოვება ეფექტური საშუალებანი ყოველგვარი ნარკომანიის სამკურნალოდ. ყოველი კაცი, რომელიც დაავადებულია ამ საშინელი სენით, მაგრამ მოისურვებს მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას და გადაწყვეტს დაანებოს თავი მანკიერ ჩვეულებას, აუცი[illegible]ლებლად მიიღოს ეს დახმარება [illegible]

[illegible] არ არის დატოვებული ისეთი საჭირბოროტო საკითხები, როგორიც არის პასუხისმგებლობის დაწესება სისხლის სამართლის წესით, თუ ვინმემ თავი აარიდა იძულებით მკურნალობას და უხეშად დაარღვია მკურნალობის რეჟიმი.

თავისუფლებააღკვეთილი ნარკომანები იძულებით მკურნალობას გაივლიან სპეციალურ შრომა-გამასწორებელ დაწესებულებაში.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 230-ე მუხლით ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობისათვის სასჯელად გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე, გასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან გადასახლებით იმავე ვადით. ახალი ბრძანებულებით ასეთი დანაშაულისათვის უფრო მკაცრი სასჯელი დაწესდა. კერძოდ თავისუფლების აღკვეთა სამიდან ათ წლამდე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონფისკაციით.

ბრძანებულებამ ასევე უფრო მკაცრი სასჯელი გაითვალისწინა ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადებისა და გასაღებისათვის. ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, გასაღება, შეძენა აგრეთვე შენახვა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. ასეთივე ქმედობა, ჩადენილი დიდი ოდენობით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ან იმ პირის მიერ, რომელმაც სასჯელი მოიხადა ასეთივე დანაშაულისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

ბრძანებულებას უაღრესად ჰუმანური და კეთილშობილური იდეები უძევს საფუძვლად. მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის ბრძოლა უაღრესად საპასუხისმგებლო მოქალაქეობრივი ვალია ჩვენი ადმინისტრაციული ორგანოების, თვითეული პიროვნებისა და მთელი საზოგადოების.

აღმოვფხვრათ ნარკომანია, არ მივცეთ მას გავრცელების საშუალება, დავიცვათ ჩვენი ადამიანები, ჩვენი ახალგაზრდობა ამ სენისაგან.

**აკ. შანიძე,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**ა. ზურაბაშვილი,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**თ. წერეთელი,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**გ. ბარათაშვილი,**
ადვოკატი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი.

## პარტიული ქრონიკა

### სამქრო პარტორგანიზაციების მუშაობა — ბიუროზე

ცხინვალი. (საქ. კორ.). პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი, თუ როგორ აწყობენ მუშაობას სამქრო პარტორგანიზაციები და პარტიული ჯგუფები ცხინვალის ვიბრომანქანების ქარხანაში და ხე-ტყის კომბინატში. აღინიშნა, რომ ამ საწარმოებში სამქრო პარტორგანიზაციები და პარტიული ჯგუფები სისტემატურად ზრუნავენ სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის, საწარმოო გეგმების გადამეტებით შესრულებისათვის, დიდ ყურადღებას უთმობენ კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას.

ამასთან ითქვა ნაკლოვანებებზეც. ვიბრომანქანების ქარხანაში სამქრო პარტორგანიზაციები ხშირად კრებებს წინასწარ მოუმზადებლად მართავენ, მიღებული დადგენილებაც ზოგჯერ შეუსრულებელი რჩება.

რაიკომის ბიურომ ამ საკითხზე კონკრეტული ღონისძიება დასახა.

### ახალგაზრდა კომუნისტთა შეკრება

ასპინძა. საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომმა მოაწყო რაიონის სკპ წევრობის კანდიდატებისა და ახალგაზრდა კომუნისტების შეკრება.

შეკრების მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი: „სკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და კომუნისტთა ამოცანები" და „სკპ წესდება — ლენინური ორგანიზაციული პრინციპების განხორციელება".

მოხსენებით გამოვიდნენ საქართველოს კპ ასპინძის რაიკომის მეორე მდივანი ვ. ალელიშვილი და საორგანიზაციო განყოფილების გამგე მ. გიორგაძე.

კამათის მონაწილე ახალგაზრდა კომუნისტებმა და სკპ წევრობის კანდიდატებმა თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვეს მუშაობის უკეთ მოწყობისათვის.

დ. ზედგინიძე.

### ზონალურ თათბირზე

ჩხოროწყუ. (საქ. კორ.). ფართოდ გაჩაღებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით პოლიტინფორმატორთა და აგიტატორთა მუშაობის გაძლიერების საკითხს მიეძღვნა ზონალური თათბირები, რომლებიც პარტიის რაიკომმა ხაბუმეში, დაბა ჩხოროწყუსა და ლესიჭინეში გამართა. ზონალურ თათბირებზე მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი დ. ჯიჯელავა, რაიკომის მეორე მდივანი ქ. გოგუა, რაიონულ გაზეთ „ნაპერწკლის" რედაქტორი ტ. შელია.

თათბირებმა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისათვის კონკრეტული ღონისძიებანი შეიმუშავეს.

### პოლიტინფორმატორთა სემინარი

ქედა. საქართველოს კპ ქედის რაიონულმა კომიტეტმა პოლიტინფორმატორთა მორიგი სემინარი გამართა. მისმა მონაწილეებმა მოისმინეს რაიკომის ლექტორ ა. ჩხეიძის ლექცია: „ვ. ი. ლენინი — სახკომსაბჭოს თავმჯდომარე". მიმდინარე ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ნ. გათენაძემ, ხოლო საკუთარი მუშაობის გამოცდილებაზე დამსწრეთ მოუთხრო პოლიტინფორმატორმა ფ. მესხიძემ.

ნ. ბასილაძე.

### რადიოგაზეთი „ვეტერანი"

ხაშური. კომკავშირის ხაშურის რაიკომთან არსებულმა ვეტერანთა საბჭომ დაიწყო რადიოგაზეთ „ვეტერანის" გამოშვება. პირველი ნომერი მიეძღვნა რაიონში სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიას. მიკროფონთან გამოვიდნენ სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი გ. მაისაშვილი, ყოფილი მტს-ის ერთ-ერთი პირველი დირექტორი ვ. ქველაძე, უხუცესი ტრაქტორისტი გ. მუმლაური და სხვები.

რადიოგაზეთი „ვეტერანი" ყოველთვიურად გამოვა.

დ. ფარეშიშვილი.

5 ივლისი კოოპერაციის საერთაშორისო დღეა

# ვაჭრობა სოფლის მშრომელთა სამსახურში

ყოველწლიურად, ივლისის პირველ შაბათს, ჩვენი პლანეტის ყველა დიდსა და პატარა ქვეყანაში, სადაც კოოპერაციული ორგანიზაციები არსებობენ, აღნიშნავენ კოოპერაციის საერთაშორისო დღეს. ეს დღე წელს მსოფლიოში აღინიშნება ორმოცდამეშვიდედ.

წლითიწლობით სულ უფრო ვითარდება და მტკიცდება კოოპერაციული მოძრაობა, რომელიც თავის რიგებში იზიდავს კოლონიური მონობისაგან განთავისუფლებულ ახალ-ახალ ქვეყნებს. ამჟამად მთელი დედამიწის ზურგზე თითქმის არ არის არცერთი ქვეყანა, სადაც გავრცელებული და დანერგილი არ იყოს კოოპერატივების ესა თუ ის სახე. სულ კოოპერაციულ მოძრაობაში მონაწილეობას იღებს ნახევარ მილიარდზე მეტი კაცი, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთაშორისო კოოპერაციულ ალიანსში.

კოოპერაციული მოძრაობა ყველაზე მეტად განვითარებულია სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც იგი აერთიანებს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს და თვალსაჩინო როლს ასრულებს ეკონომიურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მარტო ჩვენთან, სსრ კავშირში, სამომხმარებლო კოოპერაცია თავის რიგებში ითვლის 57 მილიონ წევრმეპაიეს, ე. ი. სამ მეოთხედზე მეტს მოზრდილი მოსახლეობისას, რომლებიც ცხოვრობენ სოფლად, მუშათა დაბებსა და პატარა ქალაქებში, რომლებსაც მომსახურებას უწევს სამომხმარებლო კოოპერაცია. ასევე თვალსაჩინოა ამ მხრივ კოოპერაციული მოძრაობის განვითარება ჩვენს რესპუბლიკაშიც. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის წევრთა რაოდენობა 1.200 ათას კაცს აღემატება.

უკანასკნელ წლებში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და მთელი რიგი სხვა სოციალისტური ქვეყნების კოოპერაციული ორგანიზაციები. ამ ქვეყნების კოოპერატორები, ისევე როგორც საბჭოთა კოოპერატორები, ფართოდ ემზადებიან, რათა ღირსეულად შეხვდნენ კაცობრიობის ისტორიაში დიდმნიშვნელოვან თარიღს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

სწრაფი ტემპით ვითარდება კოოპერაციული მოძრაობა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მათი უმრავლესობა ითვლება თავისი ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოს აქტიურ თანაშემწედ დამოუკიდებელი ეკონომიკის მშენებლობასა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

კოოპერაციის 47-ე საერთაშორისო დღეს განსაკუთრებულ ვითარებაში აღნიშნავს საბჭოთა კოოპერატორების ორმილიონნახევრიანი არმია. ამ დღეს ჩვენი კოოპერატორები აღნიშნავენ როგორც საყოველთაო დღესასწაულს, როგორც სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა დარგში მოპოვებულ მიღწევათა დათვალიერების დღეს, თავიანთი მონოლითურობისა და ლენინური კოოპერაციული იდეებისადმი ერთგულების დემონსტრაციის დღეს. საბჭოთა ქვეყნის კოოპერატორები ამ დღეს კვლავ ერთსულოვნად აცხადებენ თავიანთ მზადყოფნას კიდევ უფრო თავდადებით იბრძოლონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და პროგრესისათვის. ამ კეთილშობილური მიზნისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში არიან საქართველოს კოოპერატორებიც.

ჩვენს პარტიას მტკიცე და თანმიმდევრულად მიჰყავს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი დიდი ლენინის მიერ დასახული კურსით. სკკპ XXIII ყრილობამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი დასახა ქვეყნის სამეურნეო, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი დარგის შემდგომი განვითარებისათვის. ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა შემოქმედებითად მოჰკიდა ხელი ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების საქმეს. განსაკუთრებით დიდი ღონისძიებები ხორციელდება სოფლის მეურნეობის — საბჭოთა ეკონომიკის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგის — სწრაფად განვითარებისათვის.

პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნისაკენ, უაღრესად აქტიური როლი აქვს დაკისრებული სამომხმარებლო კოოპერაციას.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის 50-ათასიანი კოლექტივი თავდადებით იბრძვის პარტიის მიერ დასახული ამ გრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის.

მრავალდარგოვანია სამომხმარებლო კოოპერაციის სამეურნეო საქმიანობა. იგი მოიცავს ისეთ დარგებს, როგორიც არის: ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვა, კოლმეურნეებისა და კოლმეურნეობების ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღება, კოოპერაციული მრეწველობის საქმიანობა.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში. მას ფართოდ აქვს გაშლილი სავაჭრო-საწარმოო ქსელი და რესპუბლიკაში წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან სამეურნეო-საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

ჩვენმა სავაჭრო საწარმოებმა 1968 წელს რესპუბლიკის მოსახლეობას მიჰყიდეს 602,5 მილიონი მანეთის საქონელი, ანუ 59,5 მილიონი მანეთით მეტისა, ვიდრე 1967 წელს, ხოლო ა. წ. 5 თვეში 19,9 მილიონი მანეთით მეტისა, ვიდრე წინა წლის შესაბამის პერიოდში.

ცეკავშირის სისტემის სავაჭრო ქსელი, მოძრავი სავაჭროების ჩათვლით, 1968 წელს გაიზარდა 74 საწარმოთი. 1969 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რესპუბლიკაში ითვლებოდა სამომხმარებლო კოოპერაციის 9.410 სავაჭრო საწარმო ნაცვლად 1963 წლის 1 იანვრისათვის არსებული 7.744 საწარმოსი.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაიხსნა რამდენიმე ახალი საცალო სავაჭრო საწარმო. თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობა. წინა წლებთან შედარებით გაფართოვდა კერძების ასორტიმენტი, გაუმჯობესდა ხარისხი, შემცირდა მათი თვითღირებულება.

ჩვენი სისტემის საზოგადოებრივი კვების კარგი მუშაობის აღიარება იყო ის, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულზე აქ, თბილისში, მოეწყო ცენტროსოიუზის სისტემის საზოგადოებრივი კვების მუშაკთა ათდღიანი საკავშირო სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა სტუმარმა მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადება-შესყიდვის მოცულობამ 1968 წელს შეადგინა 24,3 მილიონი მანეთი, გეგმა შესრულებულ იქნა 123,1 პროცენტით. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დამზადების გეგმები ძირითად სახეებში შესრულდა თვალსაჩინო გადაჭარბებით — 131,8 პროცენტით.

დიდად გაიზარდა სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოო საქმიანობა. ცეკავშირს ამჟამად თავის სისტემაში აქვს სამრეწველო დარგის სხვადასხვა სახის საწარმოები: პურის ქარხანა—867, საკონსერვო ქარხანა—8, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ქარხანა—2, ლიმონათის ქარხანა—80, სამკერვალო წარმოება—12, აგრეთვე სხვადასხვა სუვენირების, სამშენებლო მასალების, კერამიკული და მხატვრული პროდუქციის საწარმოები, რომელთა მიერ გამოშვებული პროდუქცია მომხმარებელთა საყოველთაო მოწონებით სარგებლობს. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კოოპერაციულმა მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 101,3 პროცენტით. ამასთან ერთად საწარმოებში, წინანდელთან შედარებით, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა მიმოქცევის ხარჯები, მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა.

უკანასკნელ ხანებში სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ფართოდ ინერგება ვაჭრობის პროგრესული ფორმები, საქონლის ცენტრალიზებული მიწოდება, საზოგადოებრივი კვების საწარმოების გადაყვანა თვითმომსახურებაზე, უგამყიდველო მაღაზიების მოწყობა, ვაჭრობაში თანამედროვე ტექნიკის გამოყენება, სასურსათო და საფქვების საწარმოების აღჭურვა სამაცივრო დანადგარებით და სხვ.

1968 წელს და მიმდინარე წლის განვლილ 6 თვეში მოპოვებული წარმატებანი შედეგია იმ უდიდესი შემოქმედებითი მუშაობისა, რაც საქართველოს კოოპერატორებმა გააჩაღეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

საქართველოს კოოპერატორებმა წინა წლებში არაერთხელ ისახელეს თავი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. რამდენჯერმე მოიპოვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს, ცენტროსოიუზის და სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები. მიმდინარე წლის პირველ და მეორე კვარტალში ცეკავშირის კოლექტივმა ორჯერ მოიპოვა ცენტროსოიუზისა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია, როგორც საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა კოოპერაციული მშენებლობის დარგში.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, ჩვენს საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრია გადაუჭრელი საკითხი და ჩრდილოვანი მხარეები. მათი დაძლევა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის ივნისის პლენუმმა, რომელმაც განიხილა საკითხი — „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ", თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ „ლენინის იუბილესათვის მოსამზადებელ მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი. მათ შორის მთავარი ნაკლი ის არის, რომ სოციალისტური საერთო ცხოვრების ლენინური პრინციპების განხორციელებას, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვას, მუშაობაში საქმიანობისა და ორგანიზებულობის უზრუნველყოფას ჯერ კიდევ ყველგან და ყოველთვის როდი ექცევა ჯეროვანი ყურადღება, რაც ზიანს აყენებს საზოგადოების ინტერესებს, ხელს უშლის კომუნისტური მშენებლობის ამოცანების მეტი წარმატებით გადაწყვეტას. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ბევრი კოლექტივი ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იყენებს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის შინაგან რესურსებსა და რეზერვებს, მთლიანად ვერ ასრულებს ლენინის იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს".

საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმის აღნიშნული დადგენილება მთლიანად ეხება რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციასაც. ამიტომ ამოცანა ის არის, რომ კოოპორგანიზაციებმა მთელი თავიანთი შემოქმედებითი ძალები დარაზმონ ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კოოპერატორები აღმოჩნდებიან მოწოდების სიმაღლეზე და დიდი ლენინის დაბადების ისტორიულ თარიღს შეხვდებიან ღირსეულად — საქვეყნოდ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებით.

მსოფლიოს კოოპერაციული მოძრაობა ახლა მნიშვნელოვანი მოვლენის — საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის XXIV კონგრესის მოწვევის წინაშე იმყოფება. კონგრესი გაიმართება 1969 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ქ. ჰამბურგში. კონგრესი მოწოდებულია გადაწყვიტოს კოოპერაციული მოძრაობის მთელი რიგი პრობლემები, რაც წამოყენებულია ალიანსის წევრი ნაციონალური კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ.

საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე, რაც ამ გაზაფხულზე გაიმართა ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, სსრ კავშირის ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. პ. კლიმოვმა სოციალისტური ქვეყნების კოოპერაციული ორგანიზაციების სახელით წარადგინა მოხსენება „თანამედროვე კოოპერაციული დემოკრატიის შესახებ", რომელიც განხილული იქნება ალიანსის XXIV კონგრესზე. თვით ცხოვრების მიერ წამოყენებული ასეთი საკითხის დადებითად გადაწყვეტა უდავოდ შეუწყობს ხელს ალიანსში მრავალი წლის განმავლობაში გაბატონებული დისკრიმინაციული პოლიტიკის აღკვეთას, პოლიტიკისა, რასაც თავგამოდებით იცავენ ალიანსის ხელმძღვანელობაში მყოფი სოციალ-დემოკრატიული და ბურჟუაზიულ-ლიბერალური პარტიების წარმომადგენლები.

საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციის მრავალ მილიონ მეპაიეს, ყველა ქვეყნის კოოპერაციული ორგანიზაციების მილიონობით წევრს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, კიდევ უფრო გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, კოოპერაციული მოძრაობის ერთიანობისა და ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის. ეს არის კოოპერაციის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წამოყენებული ერთ-ერთი ძირითადი ლოზუნგი.

საბჭოთა კოოპერაციული ორგანიზაციები, რომლებსაც მუდმივი კონტაქტები და კავშირი აქვთ დამყარებული მსოფლიოს 90-ზე მეტი ქვეყნის კოოპერატორებთან და საგარეო სავაჭრო ოპერაციებს ეწევიან თითქმის 50 ქვეყანასთან, კვლავაც განავითარებენ და განამტკიცებენ ძმურ მეგობრობას სოციალისტური ქვეყნების კოოპერატორებთან, საქმიან კონტაქტებს დაამყარებენ და დახმარებას გაუწევენ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების კოოპერაციულ ორგანიზაციებს, დაუღალავად იბრძოლებენ მსოფლიოში კოოპერაციული მოძრაობის ერთიანობის, ხალხთა შორის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

**ნ. ჯავახიძე,**
ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.



ეს თბილისს დაამშვენებს

სურათზე: ცეკავშირის ადმინისტრაციული სახლის მაკეტი (შენდება თბილისში, ლენინის მოედანზე).

# საერთაშორისო ცხოვრება

## დიდი თეატრი ინგლისში

ლონდონი, 4 ივლისი. (საქდესი). ინგლისის დედაქალაქში მთელ თვეს გასტანს სსრ კავშირის დიდი სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო დასის გასტროლები, რომელიც გუშინ ჩამოვიდა აქ. თითქმის ყველა ბილეთი გაყიდულია.

პრეს-კონფერენციაზე, რომელიც სამეფო საოპერო თეატრის კოვენტ გარდენის შენობაში გაიმართა, დიდი თეატრის დირექტორმა მ. ი. ჩულაკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა მსახიობები ლონდონში უჩვენებენ „გედის ტბას", „შოპენიანას", „ჟიზელს", „სპარტაკს" და მთელ რიგ სხვა სპექტაკლებს თავისი რეპერტუარიდან.

ეს უკვე მესამედ ჩამოდის დიდი თეატრის საბალეტო დასი ბრიტანეთის კუნძულებზე.

## სტუმრად პრაღაში

პრაღა, 3 ივლისი. (საქდესი). დღეს თბილისის საქალაქო საბჭოს დელეგაცია, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარე შ. ე. გუხრაშვილი მეთაურობს, ეწვია პრაღის ახალ რატუშას.

დელეგაციას, იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო, თან ახლდა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის გენერალური მდივანი ი. ნემეცი.

პრაღის პრიმატორის მოადგილესთან ა. ო. ტრადოვეცთან საუბარში სტუმრებმა ილაპარაკეს თბილისის მეტროს მშენებლობისა და ქალაქის ტრანსპორტის ორგანიზაციის უახლესი გამოცდილების შესახებ.

## განიარაღების კომიტეტმა მუშაობა განაახლა

ჟენევა, 3 ივლისი. (საქდესი). მუშაობა განაახლა განიარაღების კომიტეტმა.

სხდომის დასაწყისში 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მოლაპარაკების მონაწილენი მიესალმნენ დარბაზში მყოფ ორი ახალი დელეგაციის — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და იაპონიის დელეგაციათა წევრებს. გადაწყვეტილება კომიტეტის შემადგენლობის გაფართოების შესახებ მიიღეს მის წინა სესიაზე, რომელიც 23 მაისს დამთავრდა.

## ბულგარეთის სახალხო კრების სესია

სოფია, 3 ივლისი. (საქდესი). აქ გაიხსნა ბულგარეთის სახალხო კრების მეათე სესია.

როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, სესიის დღის წესრიგშია სახალხო საბჭოების შესახებ კანონის შეცვლისა და დამატების კანონპროექტის განხილვა, მთავარი პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს, აგრეთვე ბულგარეთის იმ საპარლამენტო დელეგაციების ანგარიშები, რომლებიც იყვნენ ფინეთსა და მონღოლეთში, და სხვა საკითხები.

# ჩავაყენოთ პრესა სოციალიზმის სამსახურში

## ჩეხოსლოვაკიის კომუნისტ ჟურნალისტთა აქტივის კრება

პრაღა, 3 ივლისი. (საქდესი). აქ გაიმართა კომუნისტ ჟურნალისტთა აქტივის კრება, რომელიც მოიწვია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა. კრებას ესწრებოდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია — გ. ჰუსაკი, ლ. შტროუგალი, შ. სადოვსკი და ი. კემპენი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, აგრეთვე პრესისა და ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარე — მინისტრი ი. გაველკა.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, კრების მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა საქმიანობაზე. მათ განიხილეს ჟურნალისტური მუშაობის შინაარსი და ფორმები, საკითხი, თუ როგორ აღადგინონ კომუნისტ ჟურნალისტთა რიგებში პარტიულობის პრინციპები, როგორ დაეხმარონ უფრო ეფექტიანად პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით პარტიასა და მის ხელმძღვანელობას განახორციელონ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებანი.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა.

ამ ბოლო წელიწადნახევარში, თქვა მან, საზოგადოება მრავალგზის ყოფილა კატასტროფული მდგომარეობის პირას. ჟურნალისტთა ნაწილი, ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა ნაწილი ხელს უწყობდა გახრწნის მთელ პროცესს, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარეობდა.

მიმდინარე წლის აპრილში, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიას დაუსახა გზა, ხოლო საზოგადოებას — გამოსავალი ამ მდგომარეობიდან. ცენტრალური კომიტეტის აპრილის და, განსაკუთრებით მაისის პლენუმებმა შეიმუშავეს პოლიტიკური პლატფორმა — თუ როგორ მოგვეღო ბოლო კრიზისული მდგომარეობისათვის, როგორ მოგვეხდინა ჩვენი საზოგადოების კონსოლიდაცია, არაფერი არ დაგვეკარგა იმ პოზიტიურიდან, რაც პროგრამაში შევიტანეთ იანვარში და იანვრის შემდეგ, მაგრამ მოგვეშორებინა მთელი ბალასტი, ყოველივე, რაც ხრწნის საზოგადოებას, რაც ღუპავს მას. პარტიამ კვლავ იკისრა პასუხისმგებლობა ჩვენი საზოგადოების განვითარებისათვის. საქმე ეხება კონსოლიდაციას როგორც საშინაო პოლიტიკის დარგში — ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალური ერთიანობის რთულ დარგში (აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა სავალალო მდგომარეობაშია), ისევე საგარეო ურთიერთობის კონსოლიდაციას, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ნორმალური ძმური, ამხანაგური ურთიერთობის აღდგენას.

რაც შეეხება მაღალფარდოვან სიტყვებს თავისუფლებასა და დემოკრატიაზე, აღნიშნა გ. ჰუსაკმა, უნდა ითქვას, რომ ჩვენ, კომუნისტებს თავისუფლება და დემოკრატია ყოველთვის გვესმოდა და ახლაც გვესმის კლასობრივი თვალსაზრისით. ჩვენ არ შეგვიძლია ისინი განვიხილოთ არაკლასობრივი თვალსაზრისით. ამას წინათ მოსკოვში გაიმართა კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირი. როცა ხედავ მთელი მსოფლიოს, ყველა კონტინენტის 75 პარტიის წარმომადგენლებს, როცა გესმის, თუ როგორ იბრძვის მუშათა კლასი, როგორ იბრძვის კომუნისტური მოძრაობა არა მარტო აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში, არამედ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებშიც, გესმის, რამდენად დავივიწყეთ ჩვენს ქვეყანაში ცნება „კლასობრივი ბრძოლა". თითქოს ვცხოვრობდით რაღაც იზოლირებულ კუნძულზე და არ გვეხებოდა კლასობრივი ბრძოლა, რომელიც ჩვენს საზღვრებს იქით მიმდინარეობდა, ან თითქოს ჩვენში უკვე გაქრა იმ კლასობრივი სტრუქტურის პოლიტიკური და იდეოლოგიური შედეგები, რომელიც ჩვენში იყო და, რომლის გადმონაშთები დიდხანს რჩება ადამიანთა გონებაში.

აბსტრაქტული თავისუფლება არ არსებობს. არსებობს მხოლოდ მეტად კონკრეტული თავისუფლება, მეტად კონკრეტულ საზოგადოებრივ პირობებში, და ყოველთვის ისმის კითხვა — ვისთვის და როგორ, და არა წვრილბურჟუაზიული წარმოდგენები, რომლებსაც ჩვენი პრესა ავრცელებდა შარშან, რადგან სურდა როგორც ცათა სასუფეველში, ეშენებინა თავისუფლება, დემოკრატია ყველასთვის, სამარადისოდ და ა. შ. ამასთან ასეთ წარმოდგენებს ხშირად ავითარებდნენ ადამიანები, რომლებსაც ჯიბეში პარტიული ბილეთი ედოთ.

ბუნებრივია, განაგრძო ორატორმა, რომ ჩვენი პარტია ყოველი ღონისძიებით ცდილობს ჩვენს სახელმწიფოში შექმნას ისეთი საზოგადოება, რომელიც არა მარტო პროგრესული იქნება ეკონომიური მხრივ, არამედ საზოგადოება, რომელშიც მაქსიმალურად თავისუფალი იქნება მშრომელი ადამიანი, მაქსიმალური დემოკრატია იქნება პარტიაში, მთელ საზოგადოებაში.

უკანასკნელი წლინახევრის პერიოდმა გამოავლინა ჩვენი საზოგადოების მეტად ღრმა დიფერენციაცია, თქვა მან. გაიფანტა წარმოდგენა, რომ საზოგადოება ერთგვაროვანია, რომ პოლიტიკური ერთიანობაა და წინააღმდეგობანი არა გვაქვს. გამოვლინდა ღრმა წინააღმდეგობანი, დიფერენციაციის ღრმა პროცესი. ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და მაისის პლენუმების შემდეგ დიფერენციაციის ეს პროცესი თავს იჩენს იმით, რომ ადამიანთა ჯგუფები სხვადასხვანაირად უდგებიან პარტიის პროგრამას, ცენტრალური კომიტეტის კონცეფციებს. განვლილი ორნახევარი თვის მანძილზე ჩვენ ვხედავთ, თუ რა სწრაფად იზრდება პარტიაშიც და მის გარეშეც ბანაკი, რომელიც მხარს უჭერს გზას, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა, რათა ბოლო მოუღოს კრიზისულ მდგომარეობას და სწრაფად შექმნას პირობები შემოქმედებითი შრომისათვის, დაგროვილი პრობლემების გადაჭრისათვის, ცხადია, ჩვენი მოქალაქეების დემოკრატიული თავისუფალი ცხოვრების გარანტიით.

თუ ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენს საზოგადოებაში წარმოებულ ბრძოლაზე პოლიტიკური ხელისუფლების აზრით, განაცხადა შემდეგ გ. ჰუსაკმა, სავსებით ნათელია, რომ ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა. ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებაში არავითარ ოპოზიციურ ძალებს, არავითარ ანტიკომუნისტურ ძალებს არა აქვთ წარმატების თუნდაც მცირეოდენი იმედი. ჩვენ საკმაო ძალები მოგვეპოვება იმისათვის, რომ პოლიტიკურად აღვკვეთოთ ყოველი ძირგამომთხრელი ანტიკომუნისტური ჯგუფები ან ტენდენციები.

ვისაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მან უნდა დატოვოს იგი. ვინც თავის ადგილს მზის ქვეშ ეძებს „თავისუფალი ევროპის" პროპაგანდის ან ბურჟუაზიული პროპაგანდის შესაბამისად, უკან უნდა დაიხიოს.

გ. ჰუსაკმა დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო უკანასკნელი ორი თვის მანძილზე მომხდარ ცვლილებებს ბურჟუაზიულ პროპაგანდაში ჩეხოსლოვაკიისათვის. წინათ იმას, ვინც თვალყურს ადევნებდა „თავისუფალი ევროპის" გადაცემებს ან დასავლეთგერმანულ, ფრანგულ და სხვა გაზეთებს, თქვა მან, შეიძლება მოეჩვენებოდა, რომ ისინი განსაკუთრებულად ზრუნავენ სოციალიზმისათვის ჩეხოსლოვაკიაში, „ჩეხოსლოვაკიის ექსპერიმენტისათვის". მე ვიტყოდი, რომ ისინი სინამდვილეში დიდი სიმპათიით ადევნებდნენ თვალს ჩვენი საზოგადოების გახრწნას, ანტისოციალისტური ძალების შემოტევას საერთო დემოკრატიული ფრაზეოლოგიის ნიღბით. მაგრამ როგორც კი ამ ძალებმა აპრილში საბოლოო დამარცხება განიცადეს, მათ შეცვალეს ტაქტიკა. დღეს მათ უკვე აღარ დარჩათ სიმპათიები, დღეს ისინი ავრცელებენ მხოლოდ ყველაზე უხეშ პროპაგანდას. ძალზე ოსტატურად თესავენ უნდობლობას ჩვენს ხალხში, უნდობლობას ადამიანებისადმი, ხელმძღვანელობისადმი, იდეებისადმი, მიღებული ღონისძიებებისადმი. ეს აშკარად მტრული პროპაგანდაა.

შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შეეხო ჩეხოსლოვაკიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ანტისოციალისტურ გამოსვლებს. ორმოცდაათი-სამოცი კაცი, თქვა მან, წარმართავდა იმ უზარმაზარ ძალას, რომელსაც წარმოადგენდნენ გაზეთები, რადიო და ტელევიზია და ინფორმაციის ყველა დანარჩენი საშუალება. არავითარ ბურჟუაზიულ პრესას არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში არ მოუპოვებია ისეთი მონოპოლია, როგორიც მოიპოვა ადამიანთა ამ მცირე ჯგუფმა, რომლისთვისაც არავის არავითარი უფლება არ მიუნიჭებია და რომელიც არავის არ აურჩევია ამისათვის. ისინი ლანძღავდნენ ადამიანებს გაზეთებში, პრესაში, რადიოში დემოკრატიის ლოზუნგით. სამწუხაროდ, პარტიის ხელმძღვანელობა ითმენდა ამას. ამიტომ ჩვენთვის გასაგებია დაბნეულობა, რომელიც სუფევდა. მაგრამ დღეს კომუნისტმა და არაკომუნისტმა ჟურნალისტებმა უნდა ყურად იღონ, რომ ამას ბოლო მოეღო, რომ დღეს ეს ერთი მუჭა ადამიანები ვერ უდირიჟორებენ პრესას, რადიოსა და ტელევიზიას, ვერ წარმართავენ მათ საქმიანობას.

გ. ჰუსაკმა მოუწოდა ჟურნალისტებს განთავისუფლდნენ ერთი მუჭა ავანტიურისტთა ზეგავლენისაგან, მონახონ თავიანთი ადგილი პარტიაში, საზოგადოებაში, პრესაში, მოუწოდა მათ აქტიურად დაეხმარონ პარტიას. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კომუნისტი და არაკომუნისტი ჟურნალისტების ფრონტი, რომლებიც მზად არიან დაეხმარონ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობას და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავიანთი ხალხის მხარეზე იყვნენ, კვლავაც გაფართოვდება და ამით დაჩქარდება კონსოლიდაციისა და ჩვენი ამოცანების განხორციელების მთელი პროცესი — თქვა დასასრულ გ. ჰუსაკმა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კემპენმა.

პარტიულ პრესას, თქვა მან, სისტემატურად უნდა ხელმძღვანელობდნენ კომპეტენტური პარტიული ორგანოები. სოციალისტური სახელმწიფოს მთელ პრესას კონტროლს უნდა უწევდეს კომუნისტური პარტია. კომუნისტებს, რომლებიც ინფორმაციის საშუალებებში მუშაობენ, აკავშირებთ ერთიანი დისციპლინა, კომუნისტური პასუხისმგებლობა, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა. ისინი მოვალენი არიან იმოქმედონ აქტიურად პასუხისმგებელი პარტიული ორგანოების დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად.

პროპაგანდისა და აღზრდის დარგში ინფორმაციის საშუალებებს უაღრესად მაღალ მოთხოვნებს წავუყენებთ,—განაცხადა ი. კემპენმა. — ჩვენ მოვითხოვთ, რომ ისინი არა მარტო უპასუხებდნენ ახალი ხელმძღვანელობის პოლიტიკას, არამედ იდგნენ მაღალ პროფესიულ დონეზე, რათა მოსპონ ცრურწმენათა და უნდობლობის დანაშრევები, დაძლიონ ანტიპარტიული და ანტისოციალისტური შეხედულებანი, რომლებიც შარშან ბევრი ადამიანის შეგნებაში წარმოიშვა.

კომუნისტ ჟურნალისტთა აქტივის კრების მონაწილეებმა მოიწონეს განცხადება, რომელშიც მხარს უჭერენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებებს.

ჩვენ არასოდეს არ დავთანხმდებით, ნათქვამია განცხადებაში, რომ ინფორმაციის მასობრივი საშუალებანი გამოიყენონ მთელი „იანვრამდელი წარსულის" უსაფუძვლო კრიტიკისათვის, და გადაჭრით ვემიჯნებით ყველა იმათ, ვინც გალანძღა კომუნისტური პარტია, გადაჭრით ვგმობთ იმათ, ვინც თავს ესხმოდა და არცხვენდა ჩვენს მეგობარსა და მოკავშირეს — საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს.

კომუნისტ ჟურნალისტებს თავიანთ ღვიძლ მოვალეობად მიაჩნიათ მთლიანად დაუჭირონ მხარი პარტიის ახალი, ხელმძღვანელობის მეცადინეობას, რომელმაც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. ჰუსაკის მეთაურობით დაამტკიცა, რომ სიტყვა და საქმე ერთი აქვს.

## პენტაგონის საჭიროებისათვის

ვაშინგტონი. 4 ივლისი. (საქდესი). სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიამ გუშინ გამოაცხადა, რომ მან მოიწონა 20 მილიარდ 59 მილიონი დოლარის ასიგნება იმისათვის, რომ პენტაგონმა შეისყიდოს საომარი საჭურველი და აწარმოოს სამხედრო კვლევა 1970 საფინანსო წელს.

კომისიის განცხადების შესაბამისად, თვითმფრინავების შესასყიდად გამოყოფილია 6,7 მილიარდი დოლარი, რაკეტებისათვის —3,3 მილიარდი და სამხედრო ხომალდების შესასყიდად 2,6 მილიარდი დოლარი.

## შეტაკება საარბრიუკენში

ბონი, 3 ივლისი. (საქდესი). მესამე დღეა დასავლეთ გერმანიის ქალაქ საარბრიუკენში გრძელდება პოლიციისა და მოსახლეობის შეტაკებანი, რომლებიც მოითხოვენ ქალაქის ტრანსპორტზე მგზავრობის ტარიფის შემცირებას. დემონსტრანტთა წინააღმდეგ, რომლებმაც გუშინ გვიან საღამოს ალყა შემოარტყეს ქალაქის სამმართველოს შენობას, გაგზავნეს ათასამდე პოლიციელი. დემონსტრანტთა გასარეკად მათ გამოიყენეს ხელკეტები. ბევრი დემონსტრანტი დაიჭრა, 15 კაცი დააპატიმრეს.

## შეწყდეს ისრაელთა თვითნებობა

### უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 4 ივლისი. საქ[დე]სის კორესპონდენტი ვ. ბასკაკოვი იუწყება:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ გუშინ საღამოს ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის საკითხზე, რომელშიც გადაჭრით გმობს ისრაელის უკანონო მოქმედებას, მის ცდებს დაიმკვიდრონ ბატონობა იერუსალიმის არაბულ ნაწილში.

კენჭისყრის შედეგებმა და დისკუსიის მსვლელობამ საბჭოში ცხადყო თელ-ავივის მორალურ-პოლიტიკური იზოლაცია საერთაშორისო ასპარეზზე, აგრეთვე ის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უაღრესად ფართო წრეებს ესმით, თუ რა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს ისრაელ ექსტრემისტთა გამომწვევი მოქმედება. მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა შესაძლოდ ცნო თავი შეეკავებინა რეზოლუციის პროექტის იმ პუნქტის ცალკე კენჭისყრის დროს, რომელიც მოუწოდებს ისრაელის მთავრობას გააუქმოს განხორციელებული ღონისძიებანი, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს იერუსალიმის სტატუსის შეცვლა. აგრეთვე თავი შეიკავოს ამგვარი ღონისძიებებისაგან მომავალში.

საბჭოთა კავშირს მიაჩნდა და მიაჩნია, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს უკანონობა და თვითნებობა, რასაც იერუსალიმში სჩადის. უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები მთელი ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, კერძოდ, იერუსალიმის არაბული ნაწილიდან, განაცხადა კენჭისყრის შემდეგ გამოსულმა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ვ. ზახაროვმა.

## ებრძვიან დამპყრობლებს

კაირო, 4 ივლისი. (საქდესი). ივნისის განმავლობაში არაბმა პარტიზანებმა განახორციელეს 234 ოპერაცია, რომელთა შედეგად მოსპეს ისრაელის სხვადასხვა ტიპის 150 ავტომობილი, მწყობრიდან გამოიყვანეს 57 ტყვიამფრქვევის წერტი. 20-ზე მეტი ხიდი და რკინიგზის უბანი, დაანგრიეს 60-ზე მეტი ყაზარმა, სათვალთვალო საგუშაგო და გამაგრებული პოზიცია, ჩამოაგდეს ისრაელის ერთი თვითმფრინავი. ეს ნათქვამია პალესტინის გაერთიანებული სარდლობის კომუნიკეში, რომელიც მენის სააგენტომ გაავრცელა.

## ბირმა



### ფოტოაპარატით მსოფლიოს გარშემო

მერგუი ბირმის სამხრეთი ნაწილის ერთ-ერთი ლამაზი ქალაქია (ტენასერიმის ოლქი). ეს მნიშვნელობის მიხედვით ბირმის მეექვსე საზღვაო ნავსადგური და ზღვის პროდუქტების — ახალი და გამოყვანილი თევზის, კრევეტების, თევზის პასტის ყველაზე დიდი მიმწოდებელია.

სურათზე: მეთევზეთა საცხოვრებლები.

ფოტო ნ. ნოვიკოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## მხოლოდ ფაქტები

### მ. სპიხალსკის ვიზიტი

● პრაღა, 3 ივლისი. (საქდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე მ. სპიხალსკი დღეს ოთხი დღის ვიზიტით ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიაში.

### ბრანდტი პარიზში ჩავიდა

პარიზი, 4 ივლისი. (საქდესი). პარიზში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვილი ბრანდტი.

აეროდრომზე მან განაცხადა: ჩემი ვიზიტის მიზანია გამოვარკვიოთ საფრანგეთის პოზიციები „ევროპის საკითხებისა და მათი მომავალი განვითარების მიმართ".

ვიზიტის დროს ვ. ბრანდტს მიიღებენ საფრანგეთის პრეზიდენტი ჟ. პომპიდუ. პრემიერ-მინისტრი ჟ. შაბან-დელმასი. აგრეთვე იგი შეხვდება საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მ. შუმანს.

### დიპლომატები და დამნაშავენი

ვაშინგტონი, 4 ივლისი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსმა მიიღო სპეციალური დავალება — შეისწავლა ვაშინგტონში უცხოეთის საელჩოთა უშიშროების საკითხი და ეხმარა ღონისძიებანი მათ დასაცავად. ეს განაცხადა პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მაკლოსკიმ. ამ ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა დანაშაულობათა რიცხვი, რომელთა მსხვერპლი ხდებიან ვაშინგტონში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატები, განაცხადა მან.

როგორც ცნობილია, ვაშინგტონში დამნაშავეობის ზრდის ტემპი ყველაზე დიდია შეერთებულ შტატებში, ამასთან, როგორც ეს აღიარა თვით პრეზიდენტმა ნიქსონმა, საღამოობით უშუალოდ თეთრი სახლის ახლოს გასეირნებაც კი „საკმაოდ სახიფათო" ხდება.

# ფართოვდება კულტურული გაცვლა

2 ივლისს გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აქტივის კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს საზოგადოების გამგეობის წევრები, მეგობრობის საზოგადოებათა რესპუბლიკური განყოფილებების თავმჯდომარეები, დარგობრივ სექციათა პრეზიდენტები, რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი.

კრებამ განიხილა საკითხი: საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მონაწილეობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებაში. საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. გიგოშვილმა აღნიშნა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში იგზავნება სხვადასხვა ლიტერატურა, მასალები, ფოტოსურათები, რომლებიც ასახავენ საქართველოს სს რესპუბლიკის წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, რაც პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების შედეგია.

შემდეგ ამხ. გიგოშვილმა დამსწრეთ გააცნო, თუ რა მონაწილეობას მიიღებს საქართველოს საზოგადოება საფრანგეთში 1970 წლის ოქტომბერში საქართველოს კულტურის დღეების მოწყობისა და მიმდინარე წლის სექტემბერში საქართველოში საფრანგეთის დღეების მოწყობის მოსამზადებელ მუშაობაში.

### საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აქტივის კრება

◆

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება მიმდინარე წლის ნოემბერში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე საბჭოთა კავშირის კვირეულში სიცილიაში. საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ტატიშვილმა სხდომის მონაწილეებს გააცნო კვირეულის პროგრამა. გათვალისწინებულია მოეწყოს ფოტოგამოფენები, რომლებიც ასახავენ ქართველი ხალხის ცხოვრებას, შრომას, კულტურასა და ყოფა-ცხოვრებას. ქართული გრაფიკის, ბავშვთა ნახატისა და წიგნის გამოფენები, წარმოდგენილი იქნება, კერძოდ, შრომები: ნ. ბერძენიშვილის? — ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორია", ნ. ნაჭყებიას „საქართველოს სსრ", შ. ამირანაშვილის „ქართული ხელოვნება" და სხვ.

იმაზე, თუ რა მონაწილეობას მიიღებს საქართველოს საზოგადოება საქართველოს კულტურის დღეებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამა წლის ნოემბერში, დამსწრეთ უამბო საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ელენტმა. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იგზავნება სხვადასხვა გამოფენა, გაემგზავრებიან თვალსაჩინო მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პოპულარული ანსამბლები.

საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ბერიძე, „სსრ კავშირ-იტალიის" საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე ვ. მაჭავარიანი, საქართველოს საზოგადოების სახვითი ხელოვნების სექციის პრეზიდენტი საქართველოს სახალხო მხატვარი ლ. გუდიაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. სალარიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. დვალი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი პოეტი ი. ნონეშვილი, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების კინოსექციის პრეზიდენტი სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ჭიაურელი, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე პროფესორი დ. ლორთქიფანიძე.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი შ. ყარყარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. ციციშვილი. (საქინფორმი).

## უცხოელი მწერლები „კომუნისტის" ფურცლებზე

# ბრძოლა არ დამთავრებულა

ჯეიმს ოლდრიჯი,

ინგლისელი მწერალი.

◆

ომის წლებში უინსტონ ჩერჩილს უყვარდა ველური დასავლეთის შესახებ ერთი ამერიკული ფილმის ყურება. მას განსაკუთრებით ხიბლავდა სიმღერა, რომელსაც გამოჩენილი გერმანელი მსახიობი ქალი მარლენ დიტრიხი ასრულებდა. სიმღერას ერქვა „ნახე, რას აკეთებენ ჩვენი ბიჭები უკანა ოთახში". მასში ნათქვამი იყო, რომ რა ცხარეც უნდა იყოს დისკუსიები ბარში, რა საკითხზეც არ უნდა მსჯელობდნენ კოვბოები, ნამდვილი პოლიტიკა ხორციელდება ოთახში, რომელიც დაწესებულების სიღრმეში მდებარეობს, და სადაც გარეშე პირთ არასოდეს არ უშვებენ. ამ სიმღერით ჩერჩილის გატაცება საყოველთაოდ ცნობილი გახდა, და მოარული გამოთქმაც კი შეიქმნა „ბიჭები უკანა ოთახიდან". მას იყენებდნენ იმ პოლიტიკოსთა მიმართ, რომლებიც თავიანთ მიზნებს კულისებს მიღმა ინტრიგებით აღწევდნენ.

ამ უკანასკნელ ხანებში „უკანა ოთახში" დაუნინგ-სტრიტზე არაერთგზის განუხილავთ ინგლისის მუშათა მოძრაობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე კონფლიქტი — წამოყენებული იყო სხვადასხვა გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, მაგრამ ყველა გადაწყვეტილება მიმართული იყო მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, პროლეტარიატმა შეძლო ისტორიული გამარჯვების მიღწევა, რომელმაც პრაქტიკულად გადაარჩინა თვით ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტია.

კონფლიქტი წარმოიშვა მაშინ, რაც მთავრობამ გადაწყვიტა შემოეღო ანტიმუშური კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც სპეციალური სასამართლოების გადაწყვეტილებით შეიძლებოდა შრომის ადამიანთა დაჯარიმება და დასჯა.

ბრიტანეთის შრომის კონფედერაციის საგანგებო ყრილობამ უარყო ეს კანონპროექტი და წამოაყენა „პროფკავშირული მოძრაობის რეფორმის" თავისებური გეგმა. ასეა თუ ისე, ბოლო მოეღო ვილსონის კაბინეტის განზრახვებს. ალბათ ვერასოდეს ვერ გავიგებთ იმას, თუ რა არგუმენტებმა იმოქმედეს ასე რადიკალურად პრემიერზე, ამ „კომპრომისზე" რომ წასულიყო. ყველაფერი წყდებოდა ისე, როგორც ჩერჩილის საყვარელ ფილმში, მხოლოდ მარლენ დიტრიხი აკლდა თავისი სიმღერით.

მთავრობა გრძნობდა, რომ თუ იგი გადაჭრით მოითხოვდა ამ კანონპროექტის მიღებას, მაშინ მძიმე დარტყმას მიაყენებდა დიდი ბრიტანეთის მთელ მუშათა მოძრაობას. და მაინც უკანასკნელ მომენტამდე იგი დაბეჯითებით მოითხოვდა გაფიცულ მშრომელთათვის დასჯის სისტემის შემოღებას. მთავრობა არც ახლა ამბობს უარს ამ თვალსაზრისზე მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად კანონპროექტი, რომელიც უბადალებულ „თეთრ წიგნზეა" აგებული, დღის წესრიგიდან მოხსნილია.

ახლა საშიშროებას წარმოადგენს ის, რომ მთავრობა შეეცდება ბრიტანეთის შრომის კონფედერაციის გენერალურ საბჭოს დააკისროს „მოვალეობა", რათა იგი საკუთარი ძალებით სჯიდეს „არაოფიციალურ გაფიცვათა" მონაწილეებს. პროფკავშირებმა უარი თქვეს ამ იდეის მხარდაჭერაზე მაგრამ მიუხედავად ამისა მათმა ლიდერებმა პირობა დადეს, რომ „წესრიგისაკენ მოუწოდებენ" მათ ვინც მას დაარღვევს.

ამრიგად, ერთ-ერთი ბრძოლა პროფკავშირებმა მოიგეს, მაგრამ ახლა იწყება მეორე — პროფკავშირებმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ლეიბორისტული ზედაფენებისა და კონსერვატორების ზეწოლას გაფიცულთა საკუთარი ძალებით დასჯის საკითხში. ბატონ ვილსონს კონსერვატორთა არაერთი დაცინვა მოუსმენია უკანდახევის გამო, ხოლო შრომის მინისტრის ბარბარა კასლის შესახებ, რომელიც მთავარი პასუხისმგებელი იყო ანტიმუშური კანონმდებლობისათვის, „ტაიმსი" წერდა: „იგი „კომპრომისის" შესახებ გადაწყვეტილებას ცუდად შენიღბული კმაყოფილებით შეხვდა". მისი სიხარული ყალბი იყო, ვინაიდან სწორედ იგი დიდხანს ცდილობდა დაერწმუნებინა მშრომელები, თითქოს გაფიცულთა დასჯა თვით მუშათა კლასის ინტერესებიდან გამომდინარეობდეს.

ამრიგად, კანონპროექტი მოხსნილია, მაგრამ კონფლიქტი არ დამთავრებულა. იგი დღითიდღე უფრო მწვავდება, და ეს გასაგებიც არის. სულ ახლახან, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიიღო რა მორიგი გასაკითხი, ინგლისის ფინანსთა მინისტრმა ბანკირთა ინტერნაციონალურ კარტელს იმის გარანტია მისცა, რომ მთავრობა წინანდებურად იბრძოლებდა საშინაო მოხმარების შემცირებისათვის. ჯენკინსი მტკიცედ დაპირდა, რომ ლეიბორისტული კაბინეტი განაგრძობს თავის „ფასებისა და შემოსავლების" პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ფასების განუწყვეტელი ზრდის პირობებში ინგლისელთა ხელფასის „გაყინვისაკენ".

„ბიჭებმა უკანა ოთახიდან" დაუნინგ-სტრიტზე მიიღეს გადაწყვეტილება „კომპრომისის" შესახებ, მაგრამ ბრძოლა გრძელდება, იმიტომ რომ მშრომელები არ აპირებენ სხვათა თამასუქების განაღდებას.

# გარდაიცვალა რობერტ ტეილორი

გარდაიცვალა რობერტ ტეილორი, ამერიკული კინოს ცნობილი მსახიობი, იუწყება „ნიდელია". რ. ტეილორის სახელთან დაკავშირებულია უკანასკნელ 30 წელიწადში შექმნილი ჰოლივუდის მრავალი პოპულარული ფილმი. ჩვენს მაყურებელს კარგად ახსოვს სურათები მისი მონაწილეობით — „ქალი კამელიებით", „სიმღერა რუსეთზე", „მერვე რაუნდი", „ვატერლოოს ხიდი". იგი პარტნიორობას უწევდა ჰოლივუდის ყველაზე გამოჩენილ „ვარსკვლავებს".

მისი ნამდვილი სახელია სპენგლერ ერლინგტონ ბრიუ. ერთი თვის შემდეგ რობერტ ტეილორს 58 წელი შეუსრულდებოდა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ტეილორის სახელი სულ უფრო და უფრო იშვიათად ჩნდებოდა ეკრანზე და პრესაში. მაგრამ იგი ჰოლივუდს მაინც არ ტოვებდა — თავის რანჩოში, ბულვარ სანსეტის (ჩამავალი მზის) მახლობლად, სადაც განლაგებულია „გადამწვარი ვარსკვლავების" კარმიდამოები, მსახიობი მისდევდა მეცხენეობასა და მეფრინველეობას.

მსახიობს სიცოცხლე მოუსწრაფა ფილტვების კიბომ.

## აძლიერებენ კონტროლს

ბუენოს-აირესი, 4 ივლისი. (საქდესი). უცხოეთის კომპანიები აძლიერებენ კონტროლს არგენტინის მრეწველობისადმი, განაცხადა არგენტინელმა ეკონომისტმა ალდო ფერერმა ბუენოს-აირესის ეკონომიურ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. ქიმიაში, მანქანათმშენებლობაში, ნავთობის, ენერგეტიკულ და საავტომობილო მრეწველობაში, აგრეთვე ტრანსპორტზე ბატონობს უცხოეთის კაპიტალი, ხაზგასმით აღნიშნა მან.

კომუნისტი

მე-3 გვერდი, შაბათი,
5 ივლისი, 1969 წ.

# ფესტივალზე ბულგარეთში

ბათუმი. (საქინფორმი). ხალხური სიმღერების საერთაშორისო ფესტივალზე ქალაქ ბურგასში (ბულგარეთი) გაემგზავრა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი. იგი იქნება ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი ხალხური მუსიკალური კოლექტივების კონკურსზე.

ქართულ ანსამბლს თითქმის 50 წლის ისტორია აქვს. ამ ანსამბლში იწყებდნენ მუსიკალურ კარიერას ამჟამად სახელგანთქმული მომღერლები. აჭარის ანსამბლს თავისი ოსტატობა უჩვენებია ეგვიპტის, სირიის, სუდანის ქალაქებში, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

ბურგასის ფესტივალის შემდეგ, რომელიც ათ დღეს გასტანს, ქართველი მომღერლები და მოცეკვავეები საგასტროლოდ გაემგზავრებიან ბლაგოევგრადის ოლქში. ბათუმისა და ბლაგოევგრადის მშრომელები აი უკვე ხუთი წელია მეგობრობენ და ეძიებიან ერთმანეთს.

□

# სტუდენტმა „ვოლგა" მოიგო

გალი. (საკ. კორ.). სოფელ პირველი გალის მცხოვრებმა, სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა ინილა დავითის ასულმა ეზუგბაიამ საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1969 წლის მეხუთე გამოშვების ლატარიის 50281 სერიის 056 ნომერი ბილეთით მოიგო ავტომანქანა „ვოლგა".

შემთხვევა

# ნორჩი სიცოცხლე გადაარჩინა

ეს მოხდა ქუთაისში. ბიჭუნები რიონის პირას, მთავარი არხის სათავესთან ჭყუმპალაობდნენ. მესამეკლასელი შალვა ომიაძე ტოლებს გამოეყო და არხის ბეტონის ციცაბო კედლებს გაუყვა, ფეხი დაუცდა და წყალში ჩავარდა. ბავშვმა ცურვა არ იცოდა და ტალღებმა ჩაითრიეს.

ამას თვალი მოჰკრა ქუთაისის № 33 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ოთარ ჭეიშვილმა. მაგრამ მან ავადმყოფობის გამო წყალში შესვლა ვერ გაბედა და უმალ ყვირილი მორთო. ბედად, იქვე გაჩნდა ტყავფეხსაცმლის კომბინატის მექანიკოსი ნუგზარ სულაძე, რომელიც ტანგაუხდელად მყისვე წყალში გადაეშვა. შემთხვევის ადგილზე მისულმა ხალხმა სასწრაფო დახმარება გამოიძახა. ამასობაში კი ნ. სულაძემ ბიჭი ტალღებს გამოსტაცა და ნაპირზე გამოიყვანა. მანვე ბავშვს პირველი დახმარება აღმოუჩინა და მოასულიერა.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ჩვენი ინტერვიუ

# ემზადებიან ქართული კულტურის დეკადისათვის

## ბერლინი — თბილისი



[illegible]

... მრავალი კუთხე. მას ფირზე გადაუღია საქართველოს ღირსშესანიშნავი ადგილები. ლიზა ვარნკე საქართველოს შესახებ მრავალი სატელევიზიო გადაცემის ავტორია.

ამჟამად მისი ჩამოსვლის მიზანი იყო თბილისის ტელევიზიაში შეეგროვებინა მასალები საქართველოზე, ... ში ყოველდღიურად ორსაათიანი სპეციალური პროგრამა დაეთმობა ქართულ დეკადას. აღსანიშნავია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გარდა ჩვენი გადაცემები შეუძლია ნახოს და მოისმინოს დასავლეთ გერმანიისა და, საერთოდ, ევროპის მოსახლეობამ. ასე რომ პროგრამის შერჩევასა და მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში ყოფნისას ჩვენი სტუდიის დავალებით მოლაპარაკება მქონდა თბილისის ტელევიზიის მუშაკებთან. შევარჩიეთ 24 როგორც დოკუმენტური, ისე მხატვრული სატელევიზიო ფილმი, რომლებსაც ვუჩვენებთ ჩვენს გადაცემებში, აგრეთვე ქართველი ტელეჟურნალისტები მოგვიმზადებენ სპეციალურ გადაცემებს. თბილისიდან მივიღებთ ქართული ხალხური სიმღერებისა და თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების ჩანაწერებს.

გვწამს, რომ თბილისის ტელევიზია ყოველმხრივ დაგვეხმარება კარგად გავაშუქოთ ქართული კულტურის დეკადა, გავაცნოთ მილიონობით მაყურებელს საბჭოთა საქართველო, მისი შესანიშნავი ხალხი.

როგორც მოგახსენეთ, დეკადისათვის დიდი მზადებაა ჩვენში. საქართველოდან გვეწვევიან ქართული კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, ჟურნალისტები, ჩამოვლენ საკონცერტო ჯგუფები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში მოეწყობა ფოტო-გამოფენები საქართველოზე, გაიხსნება ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ადრე ჩვენში უკვე გაიმართა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების კულტურის დღეები. მათგან განსხვავებით, პირველად ქართული კულტურის დეკადის დროს 4 რესტორანი დაეთმობა საქართველოს. ამ რესტორნებში ჩამოვლენ ქართველი მზარეულები, რომლებიც დაამზადებენ საქვეყნოდ განთქმულ ქართულ კერძებს.

დეკადის დამთავრების შემდეგ კი განზრახულია ქალაქ დრეზდენში ერთ-ერთ რესტორანს ეწოდოს სახელწოდება „საქართველო". აქ სპეციალურად მოაწყობენ ქართულ თონეს, მოამზადებენ ქართულ კერძებს. ასე რომ დეკადის დამთავრების შემდეგაც ქართული სტუმარ-მასპინძლობა დარჩება ჩვენში.

• • •

სურათზე: ლიზა ვარნკე.

# სპორტი

# მოსკოვშიც ფრე

„ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 0:0. მოსკოვი. 3 ივლისი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი პ. გავრილიადი (სოჭი).

„ტორპედო" — ლაიზანი, იანეცი, პახომოვი, კრასნოვი, პაისი, ჩუმაკოვი, ლენიოვი, სტრელცოვი, შალიმოვი, გერშკოვიჩი (ნიკონოვი), მიხაილოვი (სავჩენკო).

„დინამო" — ურუშაძე, რეხვიაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ძოძუაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, (ილიადი), ასათიანი, გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (მეტრეველი).

წინასწარი ტურნირის პირველ წრეში „დინამოსა" და „ტორპედოს" მატჩი თბილისში ფრედ — 0:0 დამთავრდა. ეს იყო დახლოებით სამი თვის წინათ — 8 აპრილს. ამიტომ გუშინდელ შეხვედრას მოსკოვში პასუხი უნდა გაეცა ამ გუნდების წლევანდელ ურთიერთობაზე, მაგრამ საკითხი კვლავ ღიად დარჩა — ამჯერადაც ფრე — 0:0.

იყო თუ არა ეს „გროსმაისტერული ყაიმი"? რა თქმა უნდა, არა. მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა ნახა ჭეშმარიტად შემოქმედებითი, ტემპიანი და მიმზიდველი ბრძოლა, როგორც იტყვიან, ღია ფეხბურთი.

დინამოელთა თამაში უფრო სრულყოფილი და ეფექტური იყო. ხურცილავა სჯაბნიდა სტრელცოვს, ნახევარმცველები კი გაცილებით აქტიურად მოქმედებდნენ და ფლობდნენ მოედნის შუაგულს. რაც შეეხება საგოლო მომენტებს, აქაც სასწორი თბილისელთა მხარეზე იყო გადახრილი, თუმცა ბევრს სცოდავდნენ ფორვარდები.

დუბლიორთა მატჩში წარმატება დინამოელებს ხვდათ 2:1. თბილისელებიდან გოლების ავტორები იყვნენ თ. ლოლობერიძე და კვანტალიანი, მოსკოველებიდან — კულიჩენკოვი.

•

# „ა" კლასის მეორე ჯგუფში

გაიმართა „ა" კლასის მეორე ჯგუფის მეოთხე ქვეჯგუფის გუნდების მორიგი მატჩები ფეხბურთში.

ახალციხეში თამაშობდნენ ადგილობრივი „სტროიტელისა" და თბილისის „ლოკომოტივის" გუნდები. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დაამთავრეს.

მატჩი ფერგანაში „ნეფტიანიკისა და ტყიბულის „მეშახტეს" შორის დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

დუშანბეში ერთმანეთს შეხვდნენ „ენერგეტიკი" და ბათუმის „დინამო". აქაც წარმატება მასპინძლებს ხვდათ 1:0.

დღეისათვის მეოთხე ქვეჯგუფის ლიდერია თბილისის „ლოკომოტივი", რომელსაც 19 თამაშიდან 24 ქულა აქვს.

□

# მატჩები და შედეგები

გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტურის უკანასკნელი ოთხი მატჩი ფეხბურთში.

მოსკოვში თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ოდესის „ჩერნომორეცის" გუნდები. წარმატება ცსკა-ს ხვდა 2:0.

მატჩი ერევანში „არარატისა" და ბაქოს „ნეფტჩის" შორის დამთავრდა ერევნელთა გამარჯვებით 1:0.

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი" საკუთარ მოედანზე თამაშობდა ლუგანსკის „ზარიას" წინააღმდეგ და კვლავ დამარცხდა 1:3.

სვერდლოვსკში ერთმანეთს შეხვდნენ „ურალმაში" და დონის როსტოვის სკა. მატჩის შედეგია ფრე 1:1.

დღეს იწყება მეჩვიდმეტე ტური. ლენინგრადში პაექრობა ექნებათ ადგილობრივ „ზენიტსა" და ქუთაისის „ტორპედოს". მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან დედაქალაქის „ლოკომოტივისა" და დონეცკის „შახტიორის" გუნდები.

□ □ □

# გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 ივლისისათვის

პირველი ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კ). | 16 | 10 | 6 | 0 | 22-3 | 26 |
| ცსკა | 16 | 8 | 5 | 3 | 14-7 | 21 |
| სკა (როსტ.) | 16 | 7 | 4 | 5 | 20-18 | 18 |
| „არარატი" (ერ.) | 16 | 6 | 4 | 6 | 17-21 | 16 |
| „ზარია" (ლუგ.) | 16 | 6 | 3 | 7 | 18-15 | 15 |
| „ნეფტჩი" (ბ.) | 16 | 5 | 5 | 6 | 12-14 | 15 |
| „დინამო" (მ.) | 16 | 6 | 3 | 7 | 14-16 | 15 |
| „ჩერნომორეცი" (ო.) | 16 | 4 | 6 | 6 | 11-15 | 14 |
| „ურალმაში" (სვ.) | 16 | 4 | 5 | 7 | 9-17 | 13 |
| „კრ. სოვ." (კუიბ.) | 16 | 2 | 3 | 11 | 11-22 | 7 |

მეორე ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (მ.) | 16 | 12 | 3 | 1 | 22-8 | 27 |
| „დინამო" (თბ.) | 16 | 8 | 8 | 0 | 22-4 | 24 |
| „ტორპედო" (მ.) | 16 | 4 | 8 | 4 | 13-11 | 16 |
| „შახტიორი" (დ.) | 16 | 4 | 8 | 4 | 14-15 | 16 |
| „ტორპედო" (ქ.) | 16 | 7 | 2 | 7 | 17-19 | 16 |
| „დინამო" (მნ.) | 16 | 5 | 4 | 7 | 14-17 | 14 |
| „პახტაკორი" (ტ.) | 16 | 6 | 2 | 8 | 13-19 | 14 |
| „კაირატი" (ალმ.) | 16 | 3 | 7 | 6 | 12-14 | 13 |
| „ზენიტი" (ლ.) | 16 | 4 | 5 | 7 | 11-17 | 13 |
| „ლოკომოტივი" (მ.) | 16 | 1 | 5 | 10 | 10-24 | 7 |





# „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე

მრავალი ნორჩი მცურავი ეწვია თბილისს. ესენი არიან გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზისათვის მებრძოლი ჭაბუკები და გოგონები. შეჯიბრება საზეიმოდ 3 ივლისს გაიხსნა „სპარტაკის" საცურაო აუზში.

სტარტმა ცხადყო, რომ ნორჩი მცურავები ცუდად როდი არიან მომზადებული. შედეგები მაღალია. პირველ დღეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიდან თავი ისახელა „განთიადის" სპორტსმენმა ი. ზოტოვამ, რომელმაც 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აჩვენა დრო 1 წუთი და 6,4 წამი და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა. ჭაბუკთა შორის 50 მეტრზე ზურგზე ცურვაში თბილისის დინამოელი თ. ხაბულაშვილი მეორე იყო.

50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გოგონათა შორის გაიმარჯვა ლ. ივანოვამ („სპარტაკი", მოსკოვი), ჭაბუკთა შორის — თბილისელმა ვ. გრიგორაშენკომ („შრომითი რეზერვები"). ამავე დისტანციაზე ბრასის სტილით ცურვაში გოგონათა შორის პირველი იყო ლ. ბოიცოვა (რსფსრ, განათლების სამინისტრო), ჭაბუკებში — ს. ლუკინსკი („შრომითი რეზერვები"). 50 მეტრზე ზურგზე ცურვაში წარმატება ხვდათ ე. ლოსკუტოვასა (რსფსრ, განათლების სამინისტრო) და ბ. გორბუნოვს („ტრუდი").

სურათებზე: ზევით — მონაწილეთა პარადი, მარცხნივ — საქართველოს რეკორდსმენი ი. ზოტოვა.

ფოტო ბ. კამენსკისა.

ექიმი გვირჩევს

# როცა ცხელა, პაპანებაა

პაპანაქება სიცხეში ადამიანი ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ რაიონებშიც კი განიცდის გაცხელებული ჰაერის, ნიადაგის, ირგვლივ მდებარე საგნების, აგრეთვე პირდაპირი მზის სხივების ზემოქმედებას. შეუჩვეველი კაცი მძიმედ იტანს ამას, გადახურებამ შეიძლება მასში სერიოზული დაავადებანი გამოიწვიოს.

ნამეტი სითბოს სამი მეოთხედისაგან ჩვენი ორგანიზმი ჩვეულებრივად თავისუფლდება აორთქლებითა და კონვექციით (სითბოს ჰაერის ნაკადებით „გადატანა"). დანარჩენ მეოთხედს კი ვკარგავთ ოფლის აორთქლების სახით. 2,5 მილიონ საოფლე ჯირკვალს ერთ საათში შეუძლია გამოჰყოს 1-1,5 ლიტრი ოფლი. მაგრამ დახეთ უბედურებას — როცა ატმოსფერული ჰაერი პლუს 33 გრადუსამდე თბება, მთელი ეს მძლავრი აპარატი შეიძლება ტყუილუბრალოდ გაისარჯოს. ზოგი ადამიანი ამ დროს გამოჰყოფს ნამდვილად არასაკმარის ოფლს, რის გამო ორგანიზმი გადახურდება ხოლმე; სხვას — ოფლი ღვარად ჩამოსდის, მაგრამ აორთქლებას ვერ ასწრებს და არც ეს იძლევა სასურველ ეფექტს. უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში არიან მხოლოდ ისინი, ვინც აკლიმატიზება მოასწრო — მათი ორგანიზმი ასეთი ტემპერატურის დროს გამოჰყოფს არც მეტს, არც ნაკლებს, არამედ იმდენ სითხეს, რამდენიც საჭიროა სხეულის ზედაპირიდან მისი ნორმალური აორთქლებისათვის.

ნათელია, რომ გადახურებისაგან თავის დასაცავად მნიშვნელოვანია, ჯერ ერთი, ორგანიზმი იწრთობოდეს, თანდათანობით ეჩვეოდეს სითხის რაც შეიძლება ეკონომიურად ხარჯვას და მეორეც დროულად აღიდგენდეს დანაკარგს.

ოფლის სახით გამოყოფილი ცვარი ძირითადად მოედინება უჯრედშუა სითხიდან და სისხლიდან. და თუ ადამიანმა არ შეივსო წყლის მარაგი, უკვე 5-10 პროცენტით წონის დაკარგვამ შეიძლება საშიში დარღვევანი გამოიწვიოს. ადამიანი ოფლთან ერთად კარგავს მარილებსაც, უპირველეს ყოვლისა, საჭმელ მარილს. მისი დეფიციტი კი უკიდურესად არასასურველია. ის შეიძლება სწრაფად გაიზარდოს. რადგან ერთ დღეში ჩვენ საჭმელთან ერთად ვიღებთ მარილს არა უმეტეს 10-15 გრამისა, 6-10 ლიტრი ოფლის გამოყოფის დროს კი ვკარგავთ 30 გრამს. მარილის ბალანსის სერიოზული დარღვევის დროს იზრდება კრუნჩხვითი ავადმყოფობის საფრთხე.

ერთი სიტყვით, სიცხეში წყალი უნდა ვსვათ, მაგრამ როგორ და რამდენი? ეს საკითხი განსაკუთრებით აინტერესებთ მშენებლებს, გეოლოგებს, მენავთობეებს — ყველას, ვისაც ხშირად უხდება მცხუნვარე მზის ქვეშ ხანგრძლივად ყოფნა. აღელვებს იგი ცხელ საამქროებში მომუშავეებსაც, სადაც ძალზე ცხელა წლის ყოველ დროს. ზოგიერთი საწარმოო პროცესის შესრულებისას მუშების სხეულის ტემპერატურა იმატებს 1,5-2 გრადუსით, მაჯისცემა ხშირდება წუთში 100-დან 140-მდე, არტერიული წნევა შესამჩნევად ეცემა, სწრაფად იჩენს თავს დაღლილობა. მოსკოვის ერთ-ერთ ქარხანაში მელინავებმა თებერვალში გამოუშვეს 6-21 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე ივლისში. აღმოჩნდა, რომ იმ წელს ივლისი განსაკუთრებით ცხელი ყოფილა.

ჰიგიენისტთა და ფიზიოლოგთა მრავალი წლის დაკვირვების შედეგად ჩანს, თუ როგორი უნდა იყოს წყლის სმის რაციონალური რეჟიმი. იქ, სადაც მძიმე ფიზიკური შრომის დახარჯვა უხდება ადამიანს, ხოლო მეტეოროლოგიური პირობები არახელსაყრელია (ცვლაში მუშა გამოჰყოფს 5 კილოგრამზე მეტ ოფლს), რეკომენდებულია გაზიანი წყლის სმა, რომელიც 0,5 პროცენტ საჭმელ მარილსაც შეიცავს. ცხელ საამქროებში, სადაც მსუბუქი და საშუალო სიძნელის ოპერაციები მიმდინარეობს (სითხის დაკარგვა არ აღემატება 3,5-4 კილოგრამს ცვლაში), მიზანშეწონილია გაზიანი წყლის, ხმელი ხილის ნაყენის, ვიტამინიზებული სასმელების, პურის ბურახის სმა. სასარგებლოა ჩაი, რამდენადაც იგი შეიცავს კოფეინს, ტანინს, ზოგიერთ ვიტამინს, რაც აქტიურად უწყობს ხელს წყურვილის მოკვლას. ჩაი უნდა ვსვათ აუჩქარებლად, მცირე ყლუპებით. უკრაინის მთელ რიგ ქარხნებში წარმატებით იყენებენ ცილოვან-ვიტამინიან სასმელს, რომელიც პურის ბურახს ჰგავს.

ადამიანები, რომლებიც სიცხეში ღია ტერიტორიაზე მუშაობენ, უმჯობესია სვამდნენ ჩვეულებრივ გაგრილებულ წყალს, მაგრამ მცირე დოზით — თითო, მაქსიმუმ ორ-ორ ჭიქას. ამით ძლიერდება ნერწყვის გამოყოფა და მცირდება სიმშრალე პირის ღრუში.

რაციონალური სმის რეჟიმი ერთადერთი პროფილაქტიკური საშუალება როდია. არანაკლებ როლს ასრულებს აგრეთვე ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქუდი. ღია ჰაერზე სასურველია ვატაროთ თავისუფლად შეკერილი ტანსაცმელი, რომელიც უზრუნველყოფს კარგ ვენტილაციას და სითხის აორთქლებას. უპირატესობა ენიჭება ღია ფერის ქსოვილებს, რომლებიც მაქსიმალურად აირეკლავენ ხოლმე მზის სხივებს. ქუდიც ღია ფერისა სჯობს, განიერფარფლებიანი.

ყველაფერი ეს არსებითად ამაღლებს შრომისუნარიანობას პაპანაქება სიცხეშიც კი.

ა. მალიშევა,
პროფესორი.

ე. მედვედევა,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# რ ა დ ი ო

● კვირა, 6 ივლისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — კონცერტი თვითმოქმედი ანსამბლების მონაწილეობით, 08.30 — მსუბუქი მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 11.45 — ქართველ კომპოზიტორთა ინსტრუმენტული პიესები, 12.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 12.05 — მუსიკალური რადიოაფიშა, 12.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი", 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-საუბარი — „ე. ვილა-ლობოსი", 14.00 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „მექსიკელი", 14.45 — „ქვეყნებში და კონტინენტებზე" (მოსკოვი), 15.00 — „მეგობრობის კონცერტი" მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელთათვის, 15.30 — ვ. ტელპუგოვი. მოთხრობები ლენინზე, 16.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — მღერის ლ. გეგელია, 17.30 — „ახალი წიგნები", 17.45 — იზაი. სონატა ვიოლინოსათვის ლ. ისაკაძის შესრულებით, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 19.00 — რადიოკომპოზიცია „ლენინი პოლონეთში" (მოსკოვი), 19.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!" რადიოკომპოზიცია „ასპინძის რაიონი"; კონცერტი ასპინძის რაიონის მშრომელთა თხოვნით, 21.30 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 22.50 — მსუბუქი მუსიკა, 23.30 — უკრავს საესტრადო ორკესტრი „რერო", 23.55 — უკანასკნელი ცნობები.



# ტელევიზია

● შაბათი, 5 ივლისი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „იყავით ბედნიერნი" — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „გამომგონებელი" — სატელევიზიო ჟურნალი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — წყარო „ფოლკლორული კლუბი" (1 ივლისის გადაცემის გამეორება), 12.45 — კინონარკვევი, 13.00 — „ცოდნა" — სამეცნიერო შემეცნებითი პროგრამა (გადმოცემა ვილნიუსიდან), 13.30 — გადავაქციოთ მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად (27 ივნისის გადაცემის გამეორება), 14.00 — ტელეპანორამა, 14.30 — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ", ამბროლაურის რაიონი (29 ივნისის გადაცემის გამეორება), 17.05 — ახალი ამბები, 17.10 — გადაცემა ციკლიდან „ლენინის ქალაქი", 17.30 — კონცერტი, 18.00 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა. სატელევიზიო ფილმები: 1. „სპარტაკიადის მზე", „ოქროს ხოხლომა", 2. სატელევიზიო სპექტაკლ „მატეო ფალკონეს" პრემიერა, 19.30 — „ზაფხულის შვებულების დროს" — საკავშირო რეპორტაჟი, 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „ნეტავ ვინ ააგო, რა ნიჭმა ააგო", 21.55 — მხატვრული ფილმი „მაშინ 19 წლისა ვიყავი".

● კვირა, 6 ივლისი

09.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის ლექცია ფიზიკაში, 10.00 — ლექცია მათემატიკაში, 10.30 — „მაღვიძარა" — გადაცემა ბავშვებისათვის მოსკოვიდან, 11.00 — გადაცემა „დიადი ცხოვრების გზა". ვ. ი. ლენინი „რა ვაკეთოთ" (30 ივნისის გადაცემის გამეორება). 11.30 — „ლუკომორიე" — ლიტერატურული ალმანახი — გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის, 12.30 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „საიდუმლო კუნძული", 14.00 — სატელევიზიო მრავალსერიიანი ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე" 1957 წელი (ქართულ ენაზე), 15.00 — კინოაფიშა, 15.30 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა. 1. „გამოყენებითი ხელოვნება", 2. „რუსული სურათები". მუსიკალური პროგრამა. 3. „კინომოგზაურთა კლუბი", 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.30 — „მღერის ჰაიკანუშ დანიელიანი". 19.00—კინონარკვევი, 19.10 — გაზეთ „საქართველოს კინემატოგრაფისტის ფურცლებზე", 19.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.55 — ოქროპირი — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი, 20.40 — აჩვენებს სოხუმი, 21.20 — მხატვრული ფილმი „ონორე დე ბალზაკის შეცდომა", 23.00 — „შვიდი დღე" — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

● ორშაბათი, 7 ივლისი

11.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 11.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა „13 სკამი" — მინიატიურების სატელევიზიო თეატრი (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.35 — განცხადებები, 18.40 — „ბარბითი, არფა, კლავესინი" — მუსიკალური შემეცნებითი გადაცემა, 19.30 — VI საერთაშორისო კინოფესტივალის საზეიმოდ გახსნა მოსკოვში (რეპორტაჟი კრემლის ყრილობათა სასახლიდან), 20.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა. „მულტპანორამა", 21.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.55 — რუმინული მხატვრული ფილმი „ცა მესამე სართულიდან იწყება".

● სამშაბათი, 8 ივლისი

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „ოპერეტის ხელოვნება" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — რუმინული მხატვრული ფილმი „ცა მესამე სართულიდან იწყება", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — პროგრამა ბავშვებისათვის — „ცეროდენას ეკრანი", 19.00 — „იყო და არა იყო რა", 19.15 — გადაცემა ციკლიდან „ქალაქის ესთეტიკური პრობლემები", 20.00 — „ექსპო-70" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — თეატრალური საღამო, 21.30 — კინონარკვევი, 21.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.15 — პოლონეთის კულტურის დღეები საბჭოთა კავშირში. „ეკრანის ოსტატები" — კინორეჟისორი ეჟი კავალეროვიჩი (გადმოცემა მოსკოვიდან).

● ოთხშაბათი, 9 ივლისი

11.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 11.30 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ატმების ქურდი", 12.45 — ბავშვებისათვის — „ტყავის ბურთის პრიზზე" (გადმოცემა ხარკოვიდან), 13.15 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — პროგრამა ბავშვებისათვის — „ჯადოსნური საღებავი", 18.45 — „ჩვენი კინოდარბაზი", 19.05 — სამოქალაქო თავდაცვის შესახებ" — „ყველას და თითოეულს", 19.15 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა" — ვეტერინარული მომსახურების მაღალი კულტურა მეფრინველეობას, 19.45 — კონცერტი, 20.20 — კინოპროგრამა, 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირის შედეგებისადმი მიძღვნილი გადაცემა (გადმოცემა მოსკოვიდან). 21.30 — ჩეხოსლოვაკური მხატვრული ფილმი „როგორ დავაღწიოთ თავი გელენკას".

● ხუთშაბათი, 10 ივლისი

17.45 — ახალი ამბები, 17.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი ბავშვებისათვის — ფილმი-ზღაპარი „ათასი ხიფათი", 19.20 — გადაცემა „ადამიანი და მანქანა", 19.50 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მისაღები გამოცდების წინ", 20.35 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — „მსოფლიო დღეს", 21.30 — „დრო" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — სატელევიზიო ფილმი „დედოფალი" — პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები).

● პარასკევი, 11 ივლისი

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის — „ბუნების საოცრებანი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ჩეხოსლოვაკური მხატვრული ფილმი „როგორ დავაღწიოთ თავი გელენკას", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები და რეკლამა, 18.20 — გადაცემა ბავშვებისათვის — „რატომ, საიდან, რისთვის?", 19.10 — გადაცემა „ქალიშვილი გალიდან", 19.25 — „ბალეტის საღამო", 20.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „სპარტაკი" მოსკოვი — „დინამო" თბილისი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა — მუსიკალური გადაცემა.

# სახელმწიფო 3-% შინაგანი მომგებიანი სესხი 1966 წლისა

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 24-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1969 წლის 30 ივნისს ქალაქ ტალინში. მოგება ხვდა სესხის ოცდახუთივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 100624 | 18*) | 5000 | 113812 | 09*) | 500 | 121957 | 19*) | 500 |
| 101651 | 04*) | 2500 | 114344 | 48*) | 500 | 122242 | 1—50 | 40 |
| 104776 | 23*) | 500 | 114495 | 18*) | 500 | 122524 | 1—50 | 40. |
| 104985 | 49*) | 500 | 115075 | 1—50 | 40 | 122745 | 29*) | 500 |
| 106897 | 1—50 | 40 | 115380 | 45*) | 500 | 123413 | 1—50 | 40 |
| 107344 | 40*) | 500 | 115452 | 1—50 | 100 | 124071 | 03*) | 500 |
| 108130 | 01*) | 500 | 115663 | 1—50 | 100 | 124082 | 1—50 | 40 |
| 108864 | 1—50 | 40 | 116315 | 02*) | 500 | 125727 | 04*) | 500 |
| 108872 | 09*) | 500 | 116350 | 23*) | 1000 | 125786 | 19*) | 1000 |
| 108955 | 03*) | 500 | 116509 | 29*) | 500 | 126112 | 28*) | 500 |
| 108957 | 37*) | 500 | 117823 | 39*) | 500 | 126186 | 30*) | 500 |
| 109294 | 1—50 | 40 | 118318 | 47*) | 500 | 126316 | 1—50 | 100 |
| 110939 | 44*) | 500 | 119795 | 22*) | 500 | 126442 | 1—50 | 40 |
| 111351 | 41*) | 500 | 119994 | 32*) | 2500 | 126755 | 44*) | 500 |
| 113444 | 20*) | 500 | 120369 | 10*) | 500 | 127894 | 02*) | 500 |
| 113656 | 01*) | 500 | 121345 | 07*) | 500 | 129220 | 08*) | 500 |

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 129323 | 35*) | 1000 | 147020 | 08*) | 500 | 160239 | 34*) | 500 |
| 129451 | 1—50 | 100 | 147410 | 1—50 | 100 | 160685 | 38*) | 500 |
| 129916 | 42*) | 1000 | 147685 | 08*) | 2500 | 161351 | 1—50 | 40 |
| 130217 | 36*) | 500 | 148461 | 27*) | 500 | 163749 | 35*) | 500 |
| 131622 | 08*) | 500 | 148549 | 1—50 | 40 | 163945 | 08*) | 5000 |
| 132190 | 1—50 | 40 | 149499 | 01*) | 500 | 164027 | 06*) | 500 |
| 132489 | 15*) | 500 | 151060 | 34*) | 500 | 165567 | 06*) | 500 |
| 133198 | 1—50 | 40 | 151137 | 20*) | 500 | 165882 | 25*) | 500 |
| 133416 | 1—50 | 40 | 151387 | 31*) | 500 | 165928 | 30*) | 500 |
| 133748 | 1—50 | 40 | 151713 | 41*) | 500 | 166236 | 1—50 | 100 |
| 136365 | 23*) | 500 | 151822 | 20*) | 500 | 166434 | 09*) | 500 |
| 136538 | 41*) | 500 | 151835 | 43*) | 2500 | 167419 | 40*) | 500 |
| 136562 | 05*) | 500 | 152078 | 1—50 | 100 | 167642 | 30*) | 500 |
| 136586 | 49*) | 500 | 152903 | 1—50 | 100 | 168108 | 38*) | 500 |
| 137148 | 16*) | 500 | 153300 | 32*) | 1000 | 168654 | 50*) | 500 |
| 137302 | 1—50 | 100 | 154182 | 29*) | 1000 | 169426 | 03*) | 500 |
| 138000 | 1—50 | 40 | 154562 | 26*) | 500 | 169837 | 47*) | 500 |
| 138789 | 28*) | 500 | 156172 | 02*) | 500 | 170506 | 09*) | 1000 |
| 138940 | 48*) | 500 | 156430 | 32*) | 500 | 171063 | 45*) | 500 |
| 139425 | 37*) | 500 | 156595 | 19*) | 1000 | 172277 | 1—50 | 40 |
| 139991 | 44*) | 500 | 156955 | 48*) | 1000 | 172827 | 1—50 | 40 |
| 140891 | 1—50 | 100 | 157411 | 43*) | 500 | 173693 | 25*) | 500 |
| 141074 | 1—50 | 40 | 157608 | 22*) | 2500 | 175139 | 23*) | 500 |
| 142275 | 13*) | 500 | 157669 | 21*) | 1000 | 175434 | 28*) | 500 |
| 142489 | 09*) | 500 | 157875 | 1—50 | 100 | 175475 | 1—50 | 40 |
| 143136 | 25*) | 500 | 158289 | 16*) | 500 | 175613 | 1—50 | 100 |
| 143623 | 36*) | 500 | 158541 | 45*) | 1000 | 175674 | 21*) | 500 |
| 143644 | 30*) | 500 | 159141 | 14*) | 1000 | 175892 | 1—50 | 40 |
| 143727 | 40*) | 500 | 159163 | 31*) | 1000 | 175998 | 40*) | 500 |
| 146278 | 11*) | 500 | 159730 | 12*) | 500 | 176056 | 50*) | 500 |
| 146904 | 1—50 | 40 | 160212 | 12*) | 500 | 176605 | 21*) | 500 |

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 177069 | 20*) | 1000 | 186211 | 08*) | 500 | 193360 | 31*) | 500 |
| 178227 | 29*) | 500 | 186415 | 45*) | 500 | 193520 | 1—50 | 100 |
| 178349 | 1—50 | 40 | 186477 | 38*) | 500 | 193712 | 1—50 | 40 |
| 178423 | 1—50 | 40 | 186894 | 1—50 | 40 | 193863 | 22*) | 500 |
| 178573 | 45*) | 1000 | 187394 | 14*) | 500 | 194217 | 1—50 | 40 |
| 178731 | 1—50 | 40 | 187751 | 1—50 | 40 | 194392 | 26*) | 1000 |
| 180113 | 1—50 | 40 | 188551 | 1—50 | 40 | 194792 | 48*) | 500 |
| 180670 | 1—50 | 40 | 188659 | 27*) | 500 | 195655 | 26*) | 500 |
| 180776 | 1—50 | 40 | 189208 | 13*) | 500 | 197471 | 44*) | 500 |
| 181278 | 28*) | 500 | 189663 | 06*) | 500 | 197911 | 50*) | 500 |
| 181396 | 1—50 | 40 | 190603 | 1—50 | 100 | 198150 | 39*) | 500 |
| 182142 | 08*) | 1000 | 190757 | 01*) | 1000 | 198204 | 07*) | 500 |
| 182417 | 47*) | 500 | 191856 | 06*) | 1000 | 198274 | 04*) | 1000 |
| 183099 | 19*) | 500 | 192049 | 1—50 | 40 | 199911 | 1—50 | 40 |
| 184144 | 1—50 | 40 | 192211 | 02*) | 500 | 199912 | 1—50 | 100 |
| 184677 | 13*) | 500 | 192300 | 19*) | 500 | | | |

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილების გამგე ი. პ. ხრულიოვი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ნ. ვ. კუზნეცოვა.

5 ივლისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), ოქტომბერი, საქართველო (საზაფხულო), ისანი (საზამთრო), ეკრანი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ბათუმი — **ექიმ აბსტის ექსპერიმენტი**, საქართველო (მწვანე დარბაზი), სპარტაკი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **ომი ომია**, ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, საქართველო (წითელი დარბაზი), გაზაფხული, სპორტი, კოლხიდა (საზამთრო) — **საჭიროა მტკიცებანი**, ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **ასაკოვან ადამიანთა თამაშები**, საქართველო (მწვანე დარბაზი) — **ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კინოფესტივალი**, ისანი (საზაფხულო) — **ბრილიანტის ხელი**, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), ყაზბეგი (პირველი დარბაზი), მ. გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), ბათუმი, კოლხიდა (საზაფხულო) — **აურზაური ოჯახში**, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **ქორწილის დღეს**, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — **ახმეერთე სენატორი**, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), თანამგზავრი, კომკავშირელი, ნაკადული, ოფიცერთა სახლი — **ათასიდან ერთი შესაძლებლობა**, ეკრანი, კოლმეურნე — **მილიონი წლის წინათ ჩვენს ერამდე**, თანამგზავრი — **დიდი მანევრები**.

# კინო

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

[illegible]

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 უე 03352 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.